პროლეტარებო ყველა ქვეყნისა, შეერთდით!

# კომუნისტი

საქართველოს კ. პ. (ბ) ცენტრალური კომიტეტის, თბილისის კომიტეტისა და საქართველოს სსრ მშრომელთა დეპუტატების საბჭოების ორგანო

КОМУНИСТИ ОРГАН ЦЕНТРАЛЬНОГО и ТБИЛИССКОГО КОМИТЕТОВ КП (б) ГРУЗИИ и СОВЕТОВ ДЕПУТАТОВ ТРУДЯЩИХСЯ ГРУЗИНСКОЙ ССР

გამოცემის 28-ე წელი

შაბათი, 30 მარტი, 1948 წ. № 65 (8109). ფასი 20 კაპ.

დღეს გაზეთში:

ვიბრძოლოთ 1948 წლის ბიუჯეტის წარმატებით შესრულებისათვის — მოწინავე (1-ლი გვერდი).

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს დადგენილებანი (1-ლი გვერდი).

კანონი საქართველოს საბჭოთა სოციალისტური რესპუბლიკის 1948 წლის სახელმწიფო ბიუჯეტის შესახებ (1-ლი გვერდი).

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს მესამე სესია (მე-2 და მე-3 გვერდი).

მოწინავე მევენახეთა მოწოდების პასუხად (მე-3 გვერდი).

უცხოეთის ამბები — დეპეშები (მე-4 გვერდი).

## ვიბრძოლოთ 1948 წლის ბიუჯეტის წარმატებით შესრულებისათვის

დღეს ჩვენ ვბეჭდავთ კანონს საქართველოს სსრ 1948 წლის სახელმწიფო ბიუჯეტის შესახებ, რომელიც განიხილა და ერთხმად მიიღო საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს მესამე სესიამ. ბიუჯეტის ციფრებში გამოხატულებას პოულობს ის ამოცანები, რომელთა შესრულებისათვისაც მძლავრ შემოქმედებით შრომას ეწევა ქართველი ხალხი ბოლშევიკური პარტიის ხელმძღვანელობით.

ჩვენი რესპუბლიკის 1948 წლის ბიუჯეტი სახალხო მეურნეობის განვითარებისათვის ითვალისწინებს 556.052 ათას მანეთს. აქედან რესპუბლიკის მრეწველობის განვითარებაზე დაიხარჯება 170.260 ათასი მანეთი, სოფლის მეურნეობაზე — 167.872 ათასი მანეთი, კომუნალურ მეურნეობასა და კეთილმოწყობაზე — 112.122 ათასი მანეთი. გარდა ამისა, სოციალურ-კულტურულ ღონისძიებებზე დაიხარჯება 1.579.291 ათასი მანეთი, ანუ ბიუჯეტის 67,6 პროცენტი. ეს იმას ნიშნავს, რომ მიმდინარე წელს სოციალურ-კულტურულ ღონისძიებებზე დაიხარჯება 115.164 ათასი მანეთით მეტი, ვიდრე დაიხარჯა შარშან.

ქართველი ხალხის წინაშე 1948 წელს დიდი ამოცანებია დასახული სამეურნეო და კულტურული მშენებლობის ფრონტზე. ამ ამოცანათა წარმატებით შესასრულებლად ყველა პირობა გვაქვს. საქართველოს სამეურნეო და კულტურული მშენებლობის 1948 წლის პროგრამა მთლიანად უზრუნველყოფილია საჭირო ასიგნობებით. საჭიროა მხოლოდ ეს ასიგნობანი უნაყოფოდ გამოვიყენოთ.

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს სხდომებზე ბიუჯეტის განხილვის დროს ხაზგასმით აღინიშნა საბჭოთა და სამეურნეო ორგანოების გადამწყვეტი როლი რესპუბლიკური და ადგილობრივი ბიუჯეტების როგორც საშემოსავლო, ისე საგასავლო ნაწილის შესრულებისათვის ბრძოლაში. ახალი სტალინური ხუთწლედის პირველ ორ წელს სახალხო მეურნეობაში მოპოვებული წარმატებანი საუკეთესო პირობებს ქმნიან ბიუჯეტის საშემოსავლო ბაზის სერიოზულად განმტკიცებისათვის. მაგრამ ბიუჯეტის წარმატებით შესრულება შეიძლება მხოლოდ იმ შემთხვევაში, თუ საბჭოთა და სამეურნეო ორგანოები ყოველდღიურ კონტროლს გაუწევენ გადასახდელთა შეტანას ბიუჯეტში, გამოსძებნიან ახალ წყაროებს შემოსავლის გასადიდებლად, განავითარებენ და სრულჰყოფენ მრეწველობისა და საქალაქო მეურნეობის მუშაობის ორგანიზაციასა და ტექნიკას.

სერიოზული ყურადღება უნდა მიექცეს ადგილობრივი ბიუჯეტების წარმატებით შესრულებას, რამდენადაც საქართველოს სსრ სახელმწიფო ბიუჯეტის საერთო მოცულობაში ისინი 55,1 პროცენტს შეადგენენ.

რესპუბლიკის უმრავლეს რაიონებში, მათ შორის თბილისში, თელავის, მახარაძის, ლაგოდეხის, ლანჩხუთის, ტყიბულის და ხაშურის რაიონებში შარშან გადაჭარბებით შესრულდა ადგილობრივი ბიუჯეტის საშემოსავლო ნაწილი და ამ ჭარბი შემოსავლის ანგარიშზე დამატებით განხორციელდა ქალაქებისა და რაიონული ცენტრების კეთილმოწყობის, სამკურნალო დაწესებულებათა და სასკოლო შენობათა რემონტისა და სხვა ღონისძიებანი. მაგრამ არიან საბჭოების აღმასკომები, რომლებიც ჯეროვან ყურადღებას არ აქცევენ ბიუჯეტების შესრულებას. მაგალითად, სამხრეთ ოსეთის ავტონომიურმა ოლქმა 1947 წელს ვერ შეასრულა ბიუჯეტის შემოსავლის გეგმა ბრუნვის გადასახადიდან 3 მილიონი მანეთის ოდენობით და სასოფლო-სამეურნეო გადასახადიდან 260 ათასი მანეთის ოდენობით. ასევე ჩამორჩნენ ბიუჯეტის შესრულებაში ადიგენის, ასპინძის, ახალქალაქის, ბოგდანოვკის, კასპისა და მთელი რიგი სხვა რაიონები.

ბიუჯეტის შესრულების საკითხი ყურადღების ცენტრში უნდა დააყენონ მშრომელთა დეპუტატების საბჭოების აღმასკომებმა. აუცილებელია გაძლიერდეს საბჭოების მუდმივი საბიუჯეტო კომისიების აქტივობა და მიღწეული იქნას, რათა ბიუჯეტი ყველა მუხლების მიხედვით დროულად სრულდებოდეს თვითეულ ქალაქში, რაიონსა და სასოფლო საბჭოში.

დეპუტატებმა თავიანთ გამოსვლებში მრეწველობის საწარმოებისა და სავაჭრო ორგანიზაციების ხელმძღვანელებისაგან მოითხოვეს, რათა მათ არსებითად გარდაჰქმნან მუშაობა, გამოიყენონ რეზერვები, მტკიცედ განახორციელონ მომჭირნეობის რეჟიმი, გაზარდონ დაგროვება, გაადიდონ ფართო მოხმარების საქონლის გამოშვება, დაიცვან ასორტიმენტი, იბრძოლონ პროდუქციის მაღალი ხარისხისათვის, გაშალონ ნამდვილი კულტურული საბჭოთა ვაჭრობა. სამინისტროების მხრივ საწარმოებისა და სავაჭრო ბაზებისადმი მოქნილ, ოპერატიულ ხელმძღვანელობაზე დიდად არის დამოკიდებული იმ ნაკლოვანებათა დროულად აღმოფხვრა, რასაც აღნიშნავდნენ სესიაზე სიტყვით გამოსული დეპუტატები.

ეჭვგარეშეა, ქართველი ხალხი მოწონებით შეხვდება საქართველოს სსრ 1948 წლის სახელმწიფო ბიუჯეტს, მიიღებს მას, როგორც საბრძოლო პროგრამას და ლენინ-სტალინის პარტიის მეთაურობით კიდევ უფრო თავდადებულად იბრძოლებს იმ დიად ამოცანათა ბოლშევიკურად განხორციელებისათვის, რაც საბჭოთა ხალხის წინაშე დასახულია დიდი სტალინის მიერ ხუთწლედის ოთხ წელიწადში შესასრულებლად.

## ამხ. ნ. ვ. ეგოროვის საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის წევრის მოვალეობისაგან განთავისუფლების შესახებ

საქართველოს საბჭოთა სოციალისტური რესპუბლიკის უმაღლესი საბჭო **ადგენს:**

განთავისუფლდეს ამხ. ნიკიტა ვასილის-ძე ეგოროვი საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის წევრის მოვალეობისაგან — მისი საქართველოს სსრ გარეთ სამუშაოზე გადაყვანის გამო.

**საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარე ვ. გოგუა**
**საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის მდივანი ვ. ეგნატაშვილი**

1948 წლის 26 მარტი. ქ. თბილისი.

## ამხ. ვ. დ. ბუჯიაშვილის საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის წევრის მოვალეობისაგან განთავისუფლების შესახებ

საქართველოს საბჭოთა სოციალისტური რესპუბლიკის უმაღლესი საბჭო **ადგენს:**

განთავისუფლდეს ამხ. ვასილ დიმიტრის-ძე ბუჯიაშვილი საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის წევრის მოვალეობისაგან.

**საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარე ვ. გოგუა**
**საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის მდივანი ვ. ეგნატაშვილი**

1948 წლის 26 მარტი. ქ. თბილისი.

## ამხ. მ. დ. წინამძღვრიშვილის საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის წევრად არჩევის შესახებ

საქართველოს საბჭოთა სოციალისტური რესპუბლიკის უმაღლესი საბჭო **ადგენს:**

არჩეულ იქნას ამხ. მიხეილ დოროთეს-ძე წინამძღვრიშვილი საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის წევრად.

**საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარე ვ. გოგუა**
**საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის მდივანი ვ. ეგნატაშვილი**

1948 წლის 26 მარტი. ქ. თბილისი.

## ამხ. ვ. პ. ქიტნიკოვის საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის წევრად არჩევის შესახებ

საქართველოს საბჭოთა სოციალისტური რესპუბლიკის უმაღლესი საბჭო **ადგენს:**

არჩეულ იქნას ამხ. ვასილ პეტრეს-ძე ქიტნიკოვი საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის წევრად.

**საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარე ვ. გოგუა**
**საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის მდივანი ვ. ეგნატაშვილი**

1948 წლის 26 მარტი. ქ. თბილისი.

# კ ა ნ ო ნ ი

## საქართველოს საბჭოთა სოციალისტური რესპუბლიკის 1948 წლის სახელმწიფო ბიუჯეტის შესახებ

საქართველოს საბჭოთა სოციალისტური რესპუბლიკის უმაღლესი საბჭო ადგენს:

1. დამტკიცდეს საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს მიერ წარმოდგენილი საქართველოს სსრ 1948 წლის სახელმწიფო ბიუჯეტი, საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს საბიუჯეტო კომისიის მოხსენების თანახმად მიღებული ცვლილებებით, შემოსავლის ნაწილში—2.339.652 ათასი მანეთი და გასავლის ნაწილში—2.331.382 ათასი მანეთი—გასავალთან შედარებით შემოსავლის 8.270 ათასი მანეთის გადამეტებით და ამის გარდა საქართველოს სსრ რესპუბლიკური და ადგილობრივი ბიუჯეტებით საბიუჯეტო სახსრების გარდამავალი ნაშთი 1949 წლის 1 იანვრისათვის—70.009 ათასი მანეთის ოდენობით.

2. ამ კანონის 1 მუხლის შესაბამისად დამტკიცდეს საქართველოს სსრ 1948 წლის რესპუბლიკური ბიუჯეტი შემდეგ თანხებში: შემოსავალი 2.050.199 ათასი მანეთი, გასავალი 1.043.437 ათასი მანეთი, ავტონომიურ საბჭოთა სოციალისტური რესპუბლიკების, ავტონომიური ოლქის, რესპუბლიკური დაქვემდებარების ქალაქებისა და რაიონების ბიუჯეტების სახსრების გასაძლიერებლად ანარიცხები სახელმწიფო გადასახადებიდან და შემოსავლიდან და დოტაცია რესპუბლიკური ბიუჯეტიდან 998.492 ათასი მანეთი—გასავალთან შედარებით შემოსავლის 8.270 ათასი მანეთის გადამეტებით და ამის გარდა საბიუჯეტო სახსრების გარდამავალი ნაშთი 1949 წლის 1 იანვრისათვის 30.874 ათასი მანეთი.

3. დამტკიცდეს საქართველოს სსრ ავტონომიურ საბჭოთა სოციალისტური რესპუბლიკების, ავტონომიური ოლქის, რესპუბლიკური დაქვემდებარების ქალაქებისა და რაიონების 1948 წლის ბიუჯეტები შემდეგ თანხებში (ათას მანეთობით):

| | შემოსავალი | მათ შორის: ანარიცხები სახელმწიფო გადასახადებიდან და შემოსავლიდან | მათ შორის: დოტაცია რესპუბლიკური ბიუჯეტიდან | გასავალი | საბიუჯეტო სახსრების გარდამავალი ნაშთი 1949 წ. I/I-სათვის |
|---|---|---|---|---|---|
| 1. აფხაზეთის ავტონომიური საბჭოთა სოციალისტური რესპუბლიკა | 142.629 | 114.182 | — | 142.629 | 4.401 |
| 2. აჭარის ავტონომიური საბჭოთა სოციალისტური რესპუბლიკა | 106.980 | 80.255 | — | 106.980 | 3.220 |
| 3. სამხრეთ ოსეთის ავტონომიური ოლქი | 56.486 | 37.356 | 14 868 | 56.486 | 1.720 |
| 4. ქალაქი თბილისი | 249.352 | 159.544 | — | 249.352 | 7.348 |
| 5. ქალაქი ქუთაისი | 40 527 | 25.198 | — | 40.527 | 1.236 |
| 6. ქალაქი ფოთი | 16.173 | 10.690 | — | 16.173 | 499 |
| 7. ქალაქი ჭიათურა | 9.166 | 6.791 | — | 9.166 | 294 |
| 8. ქალაქი რუსთავი | 3.397 | 3.368 | — | 3.397 | 103 |
| 9. აბაშის რაიონი | 10.466 | 8.073 | — | 10 466 | 314 |
| 10. ადიგენის რაიონი | 7.526 | 4.059 | 1.540 | 7.526 | 306 |
| 11. ამბროლაურის რაიონი | 11.376 | 9.851 | — | 11.376 | 353 |
| 12. ასპინძის რაიონი | 5.862 | 2.445 | 2.451 | 5.862 | 256 |
| 13. ახალქალაქის რაიონი | 15.345 | 12.839 | — | 15 345 | 463 |
| 14. ახალციხის რაიონი | 14.350 | 10.235 | — | 14.350 | 448 |
| 15. ახმეტის რაიონი | 8.620 | 7.805 | — | 8.620 | 260 |
| 16. ბოგდანოვკის რაიონი | 7.465 | 6 047 | — | 7.465 | 240 |
| 17. ბოლნისის რაიონი | 9.452 | 7.668 | — | 9.452 | 285 |
| 18. ბორჯომის რაიონი | 13.122 | 9.852 | — | 13.122 | 403 |
| 19. გარდაბნის რაიონი | 5.618 | 4.967 | — | 5.618 | 169 |
| 20. გეგეჭკორის რაიონი | 15.446 | 9.516 | 4.462 | 15.446 | 466 |
| 21. გორის რაიონი | 27.299 | 23.814 | — | 27.299 | 853 |
| 22. გურჯაანის რაიონი | 11.821 | 8.746 | — | 11.821 | 360 |
| 23. დმანისის რაიონი | 9.752 | 6.763 | 1.237 | 9 752 | 294 |
| 24. დუშეთის რაიონი | 13.399 | 8.621 | 2.270 | 13.399 | 403 |
| 25. ვანის რაიონი | 11.025 | 10.509 | — | 11.025 | 329 |
| 26 ზემო-სვანეთის რაიონი | 6.937 | 2.785 | 3.087 | 6.937 | 214 |
| 27 ზესტაფონის რაიონი | 16 418 | 13.013 | — | 16.418 | 502 |
| 28. ზუგდიდის რაიონი | 24.660 | 19.383 | — | 24.660 | 756 |
| 29. თბილისის რაიონი | 12.799 | 10 742 | — | 12.799 | 386 |
| 30. თეთრიწყაროს რაიონი | 11 955 | 9.079 | — | 11.955 | 361 |
| 31. თელავის რაიონი | 18.824 | 13.863 | — | 18.824 | 587 |
| 32. თიანეთის რაიონი | 5.834 | 4.292 | 870 | 5.834 | 170 |
| 33. კასპის რაიონი | 12.818 | 10.411 | — | 12.818 | 385 |
| 34 კაჭრეთის რაიონი | 6.889 | 5.805 | — | 6.889 | 208 |
| 35. ლაგოდეხის რაიონი | 12.667 | 9.683 | — | 12.667 | 384 |
| 36 ლანჩხუთის რაიონი | 12.013 | 10.414 | — | 12.013 | 368 |
| 37. მაიაკოვსკის რაიონი | 9.039 | 7.229 | — | 9.039 | 273 |
| 38. მარნეულის რაიონი | 12.228 | 10.244 | — | 12.228 | 368 |
| 39. მახარაძის რაიონი | 24.020 | 19.636 | — | 24 020 | 728 |
| 40. მცხეთის რაიონი | 9.012 | 7.645 | — | 9.012 | 271 |
| 41. ონის რაიონი | 10.315 | 6.112 | 2.598 | 10.315 | 311 |
| 42. ორჯონიკიძის რაიონი | 10.865 | 8.410 | 1.091 | 10.865 | 328 |
| 43. საგარეჯოს რაიონი | 9.222 | 8.353 | — | 9.222 | 276 |
| 44 სამტრედიის რაიონი | 16.286 | 13.764 | — | 16.286 | 492 |
| 45. საჩხერის რაიონი | 10.126 | 7.451 | 1.448 | 10.126 | 305 |
| 46. სიღნაღის რაიონი | 14.539 | 11.010 | — | 14.539 | 452 |
| 47. ტყიბულის რაიონი | 11.101 | 8.598 | — | 11.101 | 341 |
| 48. ქარელის რაიონი | 10.749 | 9.870 | — | 10.749 | 317 |
| 49. ქვემო-სვანეთის რაიონი | 5.021 | 1.818 | 2.500 | 5.021 | 146 |
| 50. ქლუხორის რაიონი | 11.525 | 5.078 | 4.666 | 11.525 | 347 |
| 51. ქუთაისის რაიონი | 9.206 | 7.936 | — | 9.206 | 278 |
| 52. ყაზბეგის რაიონი | 5.351 | 3.278 | 1.521 | 5.351 | 162 |
| 53 ყვარლის რაიონი | 9.502 | 7.493 | 296 | 9.502 | 296 |
| 54 ჩოხატაურის რაიონი | 11.037 | 8.393 | 1.808 | 11.037 | 340 |
| 55. ჩხარის რაიონი | 7 687 | 5.650 | 1.228 | 7.687 | 234 |
| 56 ჩხოროწყუს რაიონი | 8.560 | 5.386 | 2.302 | 8.560 | 256 |
| 57. ცაგერის რაიონი | 8.886 | 5.613 | — | 8.886 | 268 |
| 58. ცხაკაიას რაიონი | 15.962 | 11.172 | — | 15.962 | 491 |
| 59. წალენჯიხის რაიონი | 8.861 | 6.126 | 2.240 | 8.861 | 267 |
| 60 წალკის რაიონი | 12.551 | 8.887 | 2.478 | 12.551 | 381 |
| 61. წითელწყაროს რაიონი | 8.543 | 6.520 | — | 8.543 | 255 |
| 62. წულუკიძის რაიონი | 12.090 | 8.900 | 1.498 | 12.090 | 356 |
| 63 წყალტუბოს რაიონი | 7.828 | 6.383 | — | 7.828 | 231 |
| 64. ჭიათურის რაიონი | 9.181 | 7.910 | — | 9.181 | 286 |
| 65 ხაშურის რაიონი | 16.156 | 11.299 | — | 16.156 | 496 |
| 66. ხობის რაიონი | 8.028 | 6.615 | 590 | 8.028 | 239 |
| ს უ ლ | 1.287.945 | 941.143 | 57.049 | 1.287.945 | 39.135 |

4. დაწესდეს 1948 წლისათვის ანარიცხები სახელმწიფო გადასახადებიდან და შემოსავლიდან საქართველოს სსრ ავტონომიურ საბჭოთა სოციალისტური რესპუბლიკების, ავტონომიური ოლქის, რესპუბლიკური დაქვემდებარების ქალაქებისა და რაიონების ბიუჯეტებში:

ა. არასასაქონლო ოპერაციებზე გადასახადიდან 100%,

ბ. ერთპიროვნულ გლეხურ მეურნეობათა ცხენებზე სახელმწიფო გადასახადიდან 100% და

გ. მანქანა-ტრაქტორთა სადგურების შემოსავლიდან 50%.

5. დაწესდეს 1948 წლისათვის საქართველოს სსრ შემავალი ავტონომიურ საბჭოთა სოციალისტური რესპუბლიკების, ავტონომიური ოლქის, რესპუბლიკური დაქვემდებარების ქალაქებისა და რაიონების ბიუჯეტებში ანარიცხები—მოსახლეობის საშემოსავლო გადასახადიდან, კოლმეურნეობათა საშემოსავლო გადასახადიდან, სასოფლო-სამეურნეო გადასახადიდან, უცოლო და უქმრო, მარტოხელა და მცირეოჯახიან სსრკ მოქალაქეთა გადასახადიდან, მოსახლეობაში ხელის მოწერით გავრცელებულ სახელმწიფო სესხებიდან და ბრუნვის გადასახადიდან შემდეგი ოდენობით:

| | ანარიცხების პროცენტები: მოსახლეობის საშემოსავლო გადასახადიდან | კოლმეურნეობათა საშემოსავლო გადასახადიდან | სასოფლო-სამეურნეო გადასახადიდან | უცოლო და უქმრო, მარტოხელა და მცირეოჯახიან სსრკ მოქალაქეთა გადასახადიდან | მოსახლეობაში ხელის მოწერით გავრცელებული სახელმწიფო სესხებიდან | ბრუნვის გადასახადიდან |
|---|---|---|---|---|---|---|
| 1. აფხაზეთის ავტონომიური საბჭოთა სოციალისტური რესპუბლიკა | 50 | 25 | 25 | 50 | 25 | 24,4 |
| 2. აჭარის ავტონომიური საბჭოთა სოციალისტური რესპუბლიკა | 30 | 100 | 100 | 50 | 50 | 10,2 |
| 3. სამხრეთ ოსეთის ავტონომიური ოლქი | 100 | 50 | 50 | 100 | 100 | 100 |
| 4. ქალაქი თბილისი | 15 | — | — | 25 | 12 | 4,26 |
| 5. ქალაქი ქუთაისი | 25 | — | — | 25 | 10 | 5,6 |
| 6. ქალაქი ფოთი | 50 | 50 | 50 | 50 | 50 | 3,3 |
| 7. ქალაქი ჭიათურა | 50 | — | — | 25 | 50 | 1,2 |
| 8. ქალაქი რუსთავი | 50 | — | — | 50 | 87 | — |
| 9. აბაშის რაიონი | 100 | 80 | 100 | 50 | 50 | 85,7 |
| 10. ადიგენის რაიონი | 100 | 64 | 50 | 50 | 100 | 100 |
| 11. ამბროლაურის რაიონი | 50 | 50 | 25 | 50 | 41 | 97,9 |
| 12. ასპინძის რაიონი | 100 | 100 | 100 | 50 | 100 | 100 |
| 13. ახალქალაქის რაიონი | 85 | 50 | 50 | 50 | 100 | 97,7 |
| 14. ახალციხის რაიონი | 25 | 25 | 25 | 25 | 20 | 21,3 |
| 15. ახმეტის რაიონი | 50 | 77 | 50 | 100 | 100 | 79,7 |
| 16. ბოგდანოვკის რაიონი | 100 | 100 | 100 | 100 | 100 | 100 |
| 17. ბოლნისის რაიონი | 100 | 25 | 25 | 100 | 100 | 77,5 |
| 18 ბორჯომის რაიონი | 50 | 25 | 15 | 50 | 24 | 9,5 |
| 19. გარდაბნის რაიონი | 100 | 25 | 25 | 50 | 83 | 90,4 |
| 20. გეგეჭკორის რაიონი | 100 | 100 | 100 | 50 | 100 | 100 |
| 21. გორის რაიონი | 50 | 25 | 25 | 50 | 50 | 43,3 |
| 22. გურჯაანის რაიონი | 50 | 25 | 25 | 50 | 50 | 56,2 |
| 23. დმანისის რაიონი | 100 | 100 | 100 | 50 | 100 | 100 |
| 24. დუშეთის რაიონი | 100 | 100 | 50 | 50 | 100 | 100 |
| 25. ვანის რაიონი | 80 | 25 | 25 | 50 | 25 | 92,5 |
| 26. ზემო-სვანეთის რაიონი | 100 | — | — | 50 | 100 | 100 |
| 27. ზესტაფონის რაიონი | 50 | 25 | 15 | 50 | 50 | 16,1 |
| 28. ზუგდიდის რაიონი | 50 | 25 | 15 | 50 | 25 | 56,4 |
| 29. თბილისის რაიონი | 50 | 25 | 25 | 25 | 30 | 70,7 |
| 30. თეთრიწყაროს რაიონი | 70 | 50 | 50 | 50 | 93 | 96,7 |
| 31. თელავის რაიონი | 50 | 30 | 20 | 50 | 25 | 36,4 |
| 32 თიანეთის რაიონი | 100 | 100 | 100 | 50 | 100 | 100 |
| 33. კასპის რაიონი | 25 | 25 | 15 | 25 | 25 | 77,8 |
| 34. კაჭრეთის რაიონი | 100 | 50 | 84 | 50 | 100 | 85,4 |
| 35. ლაგოდეხის რაიონი | 50 | 50 | 43 | 50 | 92 | 97,6 |
| 36. ლანჩხუთის რაიონი | 50 | 50 | 50 | 50 | 81 | 72,3 |
| 37. მაიაკოვსკის რაიონი | 50 | 25 | 25 | 50 | 50 | 35,6 |
| 38. მარნეულის რაიონი | 50 | 25 | 25 | 50 | 25 | 58,6 |
| 39. მახარაძის რაიონი | 50 | 25 | 25 | 50 | 25 | 40,9 |
| 40. მცხეთის რაიონი | 100 | 50 | 50 | 100 | 100 | 81,7 |
| 41. ონის რაიონი | 100 | 100 | 100 | 50 | 100 | 100 |
| 42 ორჯონიკიძის რაიონი | 100 | 100 | 100 | 50 | 100 | 100 |
| 43. საგარეჯოს რაიონი | 50 | 25 | 25 | 50 | 50 | 82,8 |
| 44. სამტრედიის რაიონი | 50 | 25 | 25 | 50 | 50 | 14,1 |
| 45. საჩხერის რაიონი | 100 | 50 | 88 | 100 | 100 | 100 |
| 46. სიღნაღის რაიონი | 50 | 25 | 15 | 50 | 25 | 18,5 |
| 47. ტყიბულის რაიონი | 50 | 50 | 25 | 50 | 50 | 22,6 |
| 48. ქარელის რაიონი | 50 | 50 | 25 | 50 | 50 | 86,8 |
| 49. ქვემო-სვანეთის რაიონი | 100 | 100 | — | 50 | 100 | 100 |
| 50. ქლუხორის რაიონი | 100 | 100 | 100 | 50 | 100 | 100 |
| 51 ქუთაისის რაიონი | 100 | 50 | 84 | 60 | 100 | 83,3 |
| 52. ყაზბეგის რაიონი | 100 | 100 | 100 | 50 | 100 | 100 |
| 53. ყვარლის რაიონი | 100 | 100 | 100 | 50 | 100 | 100 |
| 54. ჩოხატაურის რაიონი | 100 | 73 | 50 | 100 | 100 | 100 |
| 55. ჩხარის რაიონი | 100 | 100 | 100 | 100 | 100 | 100 |
| 56. ჩხოროწყუს რაიონი | 100 | 100 | 100 | 100 | 100 | 100 |
| 57. ცაგერის რაიონი | 87 | 50 | 25 | 50 | 50 | 67,5 |
| 58. ცხაკაიას რაიონი | 50 | 25 | 25 | 50 | 25 | 43,8 |
| 59. წალენჯიხის რაიონი | 100 | 100 | 100 | 50 | 100 | 100 |
| 60. წალკის რაიონი | 100 | 50 | 50 | 50 | 100 | 100 |
| 61. წითელწყაროს რაიონი | 50 | 50 | 50 | 50 | 50 | 38,8 |
| 62. წულუკიძის რაიონი | 100 | 100 | 100 | 100 | 100 | 100 |
| 63. წყალტუბოს რაიონი | 100 | 50 | 25 | 100 | 50 | 66,2 |
| 64. ჭიათურის რაიონი | 50 | 50 | 31 | 50 | 98 | 99,3 |
| 65. ხაშურის რაიონი | 50 | 50 | 25 | 50 | 35 | 21,5 |
| 66 ხობის რაიონი | 100 | 50 | 100 | 50 | 100 | 100 |

**საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარე ვ. გოგუა**

**საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის მდივანი ვ. ეგნატაშვილი**

1948 წლის 26 მარტი, ქ. თბილისი.

ეროვნული ბიბლიოთეკა

## საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს მესამე სესია

# კამათი საქართველოს სსრ 1948 წლის სახელმწიფო ბიუჯეტის შესახებ მოხსენების გამო

### დეპუტატ გ. მ. გორდეზიანის სიტყვა

**(ჭიათურის რაიონი, ზოდის საარჩევნო ოლქი)**

ამხანაგო დეპუტატებო! მთელი საბჭოთა ხალხი, რომელმაც ახალი სტალინური ხუთწლიანი გეგმა მიიღო, როგორც საბრძოლო პროგრამა, ერთსულოვნად დაირაზმა მისი განხორციელებისათვის და ხუთწლედის პირველი ორი წლის გეგმა გადაჭარბებით შეასრულა.

კარგად იმუშავეს შარშან ადგილობრივი მრეწველობის საწარმოთა კოლექტივებმაც. პროდუქციის გამოშვების გეგმა შესრულებულია 113,7 პროცენტით, რაც 1946 წლის ფაქტიურ გამოშვებასთან შედარებით 14,7 პროცენტით მეტია. 1947 წლის განმავლობაში გეგმის გადამეტებით გამოშვებულია 11 მილიონ მანეთზე მეტი თანხის საერთო პროდუქცია, აქედან ფართო მოხმარების საქონელი 6 მილიონ მანეთამდე თანხისა. შრომის ნაყოფიერების ზრდის გეგმა შესრულებულია 112 პროცენტით. თვითღირებულება შემცირებულია 8,1 პროცენტით, ნაცვლად გეგმით გათვალისწინებული 4,3 პროცენტისა. ადგილობრივი მრეწველობის საწარმოები შეუნელებელი ალმავლობით განაგრძობდნენ მუშაობას მიმდინარე წლის იანვარ-თებერვალში და ორი თვის გეგმა 109,5 პროცენტით შეასრულეს.

საქართველოს სსრ ადგილობრივი მრეწველობის სამინისტრომ 1947 წლის დაგროვების გეგმა 108,2 პროცენტით შეასრულა, სახელმწიფო ბიუჯეტში შეიტანა 8.621 ათასი მანეთი, ნაცვლად გეგმით გათვალისწინებული 7.966 ათასი მანეთისა.

ამხანაგო დეპუტატებო! მიუხედავად 1947 წელს მოპოვებული წარმატებებისა, საქართველოს ადგილობრივი მრეწველობის სამინისტროს და მისი საწარმოების მუშაობას მთელი რიგი ნაკლიც ჰქონდა. შარშან წლიური დავალება ვერ შეასრულეს საქართველოს დიატომიტმა (წლიური გეგმა შესრულა 50,2 პროცენტით), ბაკურიანის ანდეზიტმა (80,1 პროცენტით), საქართველოს ფაიფურმა (63,2 პროცენტით) და ქიმიურმა ქარხანამ (31,4 პროცენტით). შესრულებული არ არის ფართო მოხმარების საქონლის გამოშვების გეგმა ასორტიმენტის მიხედვით. საწოლები, მოთუთიებული და ალუმინის ჭურჭელი, ლურსმანი, სავარცხლები, რვეულები, სახამებელი და მთელი რიგი სხვა ფართო მოხმარების საქონელი ვერ მივეცით სამშობლოს ისეთი რაოდენობით, როგორც გეგმით იყო გათვალისწინებული. ამასთან ადგილობრივი მრეწველობის საწარმოთა მიერ გამოშვებული პროდუქციის ხარისხიც ვერ აკმაყოფილებს მოსახლეობის გაზრდილ მოთხოვნილებას. ცელულოიდის ფაბრიკაში გამოშვებული სავარცხლების უმეტესობა მესამე ხარისხისაა; მუსიკალური ავეჯის კომბინატი დაბალხარისხოვან პროდუქციას იძლევა. ავეჯი იშლება, იფუშება, ზედაპირი უხეიროდ არის მოკრიალებული. კალინინის სახელობის ქარხანაში დამზადებული საწოლები აწყობილია ცუდად, სალებავი ადვილად სცილდება. ზუსტ ხელსაწყოთა ქარხანაში ნაკეთი ელექტროარმატურის აწყობა სწარმოებს უხეშად, კოლმეურნის ფარნისათვის დამზადებული მინები უხარისხოა და ადვილად იმტვრევა. 26 კომისრის სახელობის მანქანათმშენებელი ქარხნის მიერ დამზადებული ნავთქურები მეტად ულამაზოა. ლითონკონსტრუქციების ქარხანაში დამზადებული კასრები და ცისტერნები ხშირ შემთხვევაში უვარგისია. ზოგიერთი საწარმო ვერ ასრულებს თვითღირებულების [illegible] შემცირების გეგმას. მაგალითად, მუსიკალური ავეჯის კომბინატმა ნაცვლად 6 პროცენტისა პროდუქციის თვითღირებულება ფაქტიურად 2,3 პროცენტით შეამცირა და ამის შედეგად გადახარჯვამ შეადგინა 152 ათასი მანეთი. ასევე ბაკურიანის ანდეზიტმა პროდუქციის თვითღირებულება გაზარდა 118 ათასი მანეთით, საქართველოს ფაიფურმა—253 ათასი მანეთით და ა. შ.

სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს და საკავშირო კომუნისტური პარტიის (ბ) ცენტრალური კომიტეტის 1947 წლის 14 დეკემბრის დადგენილებამ „ფულის რეფორმის გატარებისა და სასურსათო და სამრეწველო საქონელზე ბარათების გაუქმების შესახებ“ დიდი გარდატეხა მოახდინა ფართო მოხმარების საგნების გამოშვების საქმეში. მომხმარებელი სამართლიანად მოითხოვს მაღალი ხარისხის, ლამაზ და იაფფასიან საქონელს. თუ ჩვენი მრეწველობის მიერ გამოშვებული პროდუქცია ამ მოთხოვნილებებს არ აკმაყოფილებს, იგი არ გასაღდება. საქართველოს სსრ ადგილობრივი მრეწველობის სამინისტრომ მიიღო ზომები ამ მხრივ მდგომარეობის გამოსასწორებლად. უკვე შევუდექით პროდუქციის ხარისხისა და გარეგნული გაფორმების გასაუმჯობესებლად სათანადო ღონისძიებათა განხორციელებას. შედგენილი და დამტკიცებულია ყველა საწარმოსათვის საქარხნო-საფაბრიკო ნიშანი (მარკა) და საწარმოებს მიცემული აქვთ ტექნიკური კონტროლის სახელმძღვანელო ინსტრუქციები.

ორიოდე სიტყვა რაიონული მრეწველობის შესახებ.

რაიონული დაქვემდებარების ადგილობრივი მრეწველობა მოწოდებულია იმუშაოს უმთავრესად ადგილობრივი ნედლეულისა და ნარჩენების ბაზაზე და რაც შეიძლება გააფართოოს ამ საფუძველზე ფართო მოხმარების საგნების გამოშვება. ზოგიერთი რაისაბჭოს აღმასკომს და რაიონული მრეწველობის მუშაკებს კი სურთ ფართო მოხმარების საგნების გამოშვება სულ სხვა საფუძველზე. სამინისტროსაგან მოითხოვენ ფონდირებულ მასალებსა და სახსრებს.

საჭიროა რაიონის ხელმძღვანელებმა მეტი ყურადღება მიაქციონ ადგილობრივი მრეწველობის მუშაობას, მეტი დახმარება და ხელმძღვანელობა გაუწიონ და მით უზრუნველჰყონ მოსახლეობის დაკმაყოფილება ფართო მოხმარების საგნებითა და საშენი მასალებით.

ჩვენს წინაშე დგას ამოცანა კონკრეტულად განვიხილოთ ყველა საწარმოს მუშაობა და მივიღოთ ზომები, რომ ყოველი თვის განმავლობაში გეგმები სრულდებოდეს თანაზომიერად, ასორტიმენტის დაცვით, პროდუქციის კარგი ხარისხით. ჩვენ უნდა შევძლოთ საწარმოებში მომჭირნეობის რეჟიმის მტკიცედ დანერგვა, შრომის ნაყოფიერების გადიდება, ფულადი და მატერიალური საშუალებების განიავების ლიკვიდაცია. ყოველივე ეს კი მოითხოვს ხელმძღვანელობის მკვეთრად გაუმჯობესებას, მეტ ოპერატიულობას მუშაობაში და სისტემატურ კონტროლს მიღებული გადაწყვეტილების დროულად შესრულებისათვის.

ამხანაგო დეპუტატებო! მე მხარს ვუჭერ წინადადებას საქართველოს მინისტრთა საბჭოს მიერ წარმოდგენილი ბიუჯეტის დამტკიცების შესახებ.

საქართველოს ადგილობრივი მრეწველობის საწარმოთა კოლექტივები საქართველოს კ. პ. (ბ) ცენტრალური კომიტეტისა და მინისტრთა საბჭოს ხელმძღვანელობით და დახმარებით მთელ ქართველ ხალხთან ერთად ყველაფერს გააკეთებენ იმისათვის, რომ პირნათლად შეასრულონ სტალინური ხუთწლედით მათთვის დაკისრებული ამოცანები.

გაუმარჯოს ჩვენს მამასა და მასწავლებელს დიდ ბელადს ამხანაგ სტალინს! (ტაში).

### დეპუტატ ნ. ა. ჯავახიშვილი-კომახიძის სიტყვა

**(ქ. თბილისი, ლადო კეცხოველის საარჩევნო ოლქი)**

ამხანაგო დეპუტატებო! საქართველოს საბჭოთა სოციალისტური რესპუბლიკის 1948 წლის სახელმწიფო ბიუჯეტი ადასტურებს პარტიისა და მთავრობის განუწყვეტელ ზრუნვას ჩვენი ქვეყნის მშრომელების ჯანმრთელობასა და კეთილდღეობაზე.

ჯანმრთელობის დაცვის საკითხებს თვალსაჩინო ადგილი ჰქონდა დათმობილი 1947 წლის ბიუჯეტშიც. რესპუბლიკური დაქვემდებარების სამკურნალო დაწესებულებების აღდგენასა და შეკეთებაზე შარშან დაიხარჯა 9,1 მილიონი მანეთი, გეგმით გათვალისწინებული 9,7 მილიონი მანეთის ნაცვლად. შეკეთებულია 500-საწოლიანი ცენტრალური კლინიკური საავადმყოფო, დამთავრებულია 300-საწოლიანი ორთოპედიისა და აღდგენითი ქირურგიის სამეცნიერო-საკვლევი ინსტიტუტი, კაპიტალურად შეკეთებულია სამედიცინო, ფარმაცევტიული და სტომატოლოგიური ინსტიტუტების კლინიკები, დედათა და ბავშვთა ჯანმრთელობის დაცვის, ტროპიკულ სნეულებათა და ვენეროლოგიური ინსტიტუტი, თვალის სნეულებათა საავადმყოფო და სხვ. აშენდა და გადაეცა საექსპლოატაციოდ 80-ადგილიანი საბავშვო ბაგა თბილისში, 78-საწოლიანი სამშობიარო სახლი ქუთაისში, რაიონული საავადმყოფო საჩხერეში და სამშობიარო სახლი ქარელში.

სამშობიარო დახმარების გაუმჯობესების მიზნით ჭიათურაში, ყვარელში, ჩოხატაურში, სიღნაღში, ამბროლაურში, ადიგენში, ასპინძაში, საგარეჯოში მოწყობილია სამშობიარო საწოლები და გაიხსნა მრავალი საკოლმეურნეო სამშობიარო სახლი. ტყიბულში გახსნილია ახალი 80-საწოლიანი საბავშვო ბაგა, თბილისში 100-საწოლიანი ჩვილ ბავშვთა სახლი. ზაფხულის პერიოდში ბავშვთა სანატორიუმები სეზონურად გაფართოებული იყო 120 საწოლით.

საგრძნობლად გაიზარდა სამკურნალო-პროფილაქტიკურ დაწესებულებათა ქსელი. ქალაქად და სოფლად საავადმყოფოების რიცხვი 367 უდრის, რომლებშიც 11.700 საწოლია. მარტო 1947 წელს სამკურნალო დაწესებულებები ქალაქად 254 საწოლით გადიდდა, სოფლად კი—284 საწოლით.

1948 წელს საკურორტო მეურნეობის აღდგენისათვის გათვალისწინებულია კიდევ 25 მილიონი მანეთი, მაგრამ აღნიშნული თანხა მთლიანად ვერ უზრუნველჰყოფს საქართველოს კურორტების მზარდ მოთხოვნილებებს.

1948 წლის გეგმით დამატებით გახსნილი იქნება 1.100 სანატორიული საწოლი ბორჯომში, წყალტუბოში, ტებერდაში, საირმეში, ახალ ათონში, ქობულეთში, მანგლისში.

სტაციონარული სამკურნალო დაწესებულებებისა და სანატორიუმების მუშაობაში მნიშვნელოვან ნაკლს წარმოადგენს ავადმყოფების კვებისათვის დანიშნული თანხების აუთვისებლობა. სავაჭრო ორგანიზაციები ზოგიერთ ქალაქებში და სოფლად ვერ უზრუნველჰყოფენ სურსათ-სანოვაგის სათანადო რაოდენობით გაცემას. ამ გარემოებას განსაკუთრებული ყურადღება უნდა მიექცეს, საავადმყოფოები სრულად უნდა იყვნენ მომარაგებულნი საჭირო სურსათ-სანოვაგით.

სამედიცინო მომსახურების ხარისხი და დონე ექიმის კვალიფიკაციით, სამეცნიერო-კვლევითი მუშაობის ხარისხით, სამკურნალო დაწესებულებების მიზანშეწონილი სტრუქტურით განისაზღვრება. ამ მიზნით ტარდება საავადმყოფოებისა და პოლიკლინიკების გაერთიანება ერთ მთლიან სამკურნალო-პროფილაქტიკურ დაწესებულებად.

ვთხოვ ამხანაგ დეპუტატებს დაეხმარონ ჯანმრთელობის დაცვის ორგანოებს ადგილებზე პოლიკლინიკებისა და ამბულატორიებისათვის საავადმყოფოების მახლობლად შესაფერისი ბინების გამონახვაში.

მნიშვნელოვანი ღონისძიება გატარდა სამედიცინო კადრებთან მუშაობის გაუმჯობესების და სამკურნალო-პროფილაქტიკური ქსელის სათანადო კადრებით დაკომპლექტების საქმეში. მოძმე რესპუბლიკათა შორის საქართველოს ამ მხრივ პირველი ადგილი უჭირავს.

გარდა ახალგაზრდა კადრების მომზადებისა, სათანადო ყურადღება ექცევა ექიმთა დახელოვნებას და კვალიფიკაციის ამაღლებას, მათი იდეოლოგიურ-პოლიტიკური დონის ამაღლებას. მიმდინარე წელს სპეციალიზაციას და დახელოვნებას მიიღებს 560 ექიმი.

ვთხოვ სესიას ამიერკავკასიის მეტალურგიული ქარხნის მშენებლობის ობიექტზე ახალი სოციალისტური ქალაქის სანიტარულ-ეპიდემიური სადგურის მშენებლობისათვის კაპიტალური დაბანდების სახით დამატებით 400.000 მანეთის და კურორტ საირმეში საცხოვრებელი ფართობის გადიდებისათვის 400.000 მანეთის გაღებას, ხოლო სოფლის საავადმყოფოების მშენებლობის ხაზით ვანისა და ასპინძის საავადმყოფოებისათვის კიდევ 600.000 მანეთის გათვალისწინებას.

ამხანაგო დეპუტატებო! წინადადება შემომაქვს დამტკიცდეს 1948 წლის საქართველოს საბჭოთა სოციალისტური რესპუბლიკის სახელმწიფო ბიუჯეტი.

საბჭოთა ხალხი ახალი ენერგიით მიისწრაფის კომუნიზმის სრული გამარჯვებისაკენ. ამ დიადი გზით ჩვენი ხალხი მიდის ბოლშევიკური პარტიის ხელმძღვანელობით, ამხანაგ სტალინის ბრძნული წინამძღოლობით. (ტაში).

### დეპუტატ მ. ბ. ნარსიას სიტყვა

**(გეგეჭკორის რაიონი, დიდიჭყონის საარჩევნო ოლქი)**

ამხანაგო დეპუტატებო! საქართველოს მშრომელები, ისე როგორც მთელი საბჭოთა კავშირის ხალხები, თავდადებით იბრძვიან ომისშემდგომი სტალინური ხუთწლიანი გეგმით დასახული ამოცანების ოთხ წელიწადში განხორციელებისათვის.

საქართველოს სამომხმარებლო კოოპერაციას ხელი უნდა შეეწყო იმ დიადი ამოცანების გადაჭრისათვის, რომლებიც პარტიამ და მთავრობამ დაგვისახეს სახალხო მეურნეობის აღმავლობის ამ ახალ ეტაპზე. ცეკავშირმა 1947 წლის გეგმების შესრულებაში თვალსაჩინო წარმატებები მოიპოვა. მან საქონელბრუნვის გეგმა შეასრულა 129,9 პროცენტით. აქედან ქალაქებსა და მუშათა დაბებში გახსნილ სავაჭრო ქსელში საქონელბრუნვის გეგმა შესრულებულია 140,3 პროცენტით.

კოოპერაციული ვაჭრობის ქსელის მომარაგებისა და ფართო მოხმარების საქონლის წარმოების უზრუნველსაყოფად სასოფლო-სამეურნეო პროდუქტების შესყიდვის გეგმა 1947 წელს 110 პროცენტით შესრულდა. მარტო მარნეულის რაიკოოპკავშირმა შეისყიდა და თბილისში შემოზიდა 8.500 ათასი მანეთის სასოფლო-სამეურნეო პროდუქტები. თბილისში ცეკავშირს უნდა შემოეზიდა შესყიდული პროდუქციის 60 პროცენტი, ხოლო ფაქტიურად შარშან დედაქალაქში შემოზიდულ იქნა შესყიდული პროდუქციის 54,6 პროცენტი.

როგორც მოყვანილი ციფრებიდან სჩანს, კოოპერაციული ვაჭრობის გაშლის საქმეში მთლიანად რესპუბლიკასა და კერძოდ ქალაქ თბილისში 1947 წელს ცუდი მაჩვენებლები არ გვაქვს, მაგრამ იგივე როდი ითქმის ჩვენი მუშაობის შესახებ 1948 წლის პირველ კვარტალში, როდესაც როგორც ცეკავშირის გამგეობამ, ისე მთელმა რიგმა კოოპერაციულმა ორგანიზაციებმა შეანელეს სასოფლო-სამეურნეო პროდუქტების შესყიდვა და განსაკუთრებით თბილისში შემოზიდვა.

კოოპერაციის ზოგიერთი მუშაკი არ სწავლობს მომხმარებელთა მოთხოვნილებას, არ მიდის კოლმეურნეობებში, ყოველდღიური კავშირი არა აქვს მოსახლეობასთან. რატომ უნდა უხდებოდეს კოლმეურნეობის თავმჯდომარეს სპეციალურად თბილისში ჩამოსვლა ცეკავშირში მისთვის საჭირო სასოფლო-სამეურნეო იარაღების გამოყოფის საკითხზე, მაშინ როცა ეს შეიძლება გააკეთოს რაიკოოპკავშირმა?

სამომხმარებლო კოოპერაციის მუშაობაში განსაკუთრებული ყურადღება უნდა მიექცეს კოლმეურნეობათა და კოლმეურნეთა პირველი მოთხოვნილების საგნებით შეუფერხებლივ მომარაგებას.

ცეკავშირმა საგრძნობი მუშაობა გასწია სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს და საკავშირო კ. პ. (ბ) ცენტრალური კომიტეტის 1947 წლის 14 დეკემბრის დადგენილების შესასრულებლად. ბარათების გაუქმების მოსამზადებელ პერიოდში, 1947 წლის მეორე ნახევარში დამატებით გაიხსნა 168 სავაჭრო და 48 საზოგადოებრივი კვების საწარმო, რითაც სავაჭრო ქსელი უფრო მეტად იქნა მიახლოებული მომხმარებელთან. ყოველივე ამის მიუხედავად, სამომხმარებლო კოოპერაციის მუშაობას კვლავ ახასიათებს მთელი რიგი ნაკლოვანებანი. ძირითადი ნაკლი ჩვენი კოოპერაციული ორგანიზაციების მუშაობაში ის არის, რომ ბევრმა მათგანმა ვერ გარდაჰქმნა მუშაობა გაშლილი ვაჭრობის პირობების შესაბამისად, ვერ იჩენს სათანადო მოქნილობას და ინიციატივას საქონლის დამატებითი ფონდების გამონახვის, თვითშესყიდვის გაძლიერების, საკუთარი წარმოების გაშლის საქმეში.

კოოპერაციულ ორგანიზაციებს საქონლის ფონდი საკმარისი რაოდენობით აქვთ გამოყოფილი, მაგრამ ისინი სუსტად ითვისებენ ამ ფონდებს, დაგვიანებით შეაქვთ საქონელი სავაჭრო ქსელში. ხშირად რაიკოოპკავშირებისა და სოფლის კოოპერატივების საწყობებში საქონელი დიდხანს ჩერდება, რის შედეგად ბევრჯერ მაღაზიებსა და დუქნებში საქონელი საკმარისი რაოდენობით არ მოიპოვება და ვაჭრობა ფერხდება.

ჩვენი სავაჭრო ქსელი ძირითადად ცუდად როდი მუშაობს. მაგრამ მთელ რიგ რაიონებში, როგორიცაა დმანისი, ხობი, თიანეთი, ყაზბეგი და სხვა, სავაჭრო და სასაწყობო ქსელი ცუდ მდგომარეობაშია. წელს ამ ქსელის წესრიგზე მოსაყვანად გამოყოფილია 5 მილიონი მანეთი. მოწონების ღირსია გურჯაანის, ბოლნისის, კასპის და გეგეჭკორის რაიონების მეპაიეთა ინიციატივა მაღაზიების მშენებლობაში აქტიური მონაწილეობის მიღების მხრივ.

სამომხმარებლო კოოპერაციის მუშაობაში ყველაზე შეუწყნარებელ მოვლენას წარმოადგენს კოოპერაციული ქონების გაფლანგვა-მტაცებლობა და დიდი დებიტორული დავალიანება. ამ მხრივ ცუდად არის საქმე აფხაზეთისა და აჭარის ასსრ, ადიგენის, ფოთის, გარდაბნის და თბილისის რაიონების კოოპერაციულ ორგანიზაციებში. ეს აიხსნება კადრების დაუკვირვებელი შერჩევით, აღრიცხვა-ანგარიშგების მოუწესრიგებლობით, მატერიალურად პასუხისმგებელი პირებისადმი არადამაკმაყოფილებელი კონტროლით, საზოგადოებრივი კონტროლის ორგანოების სუსტი მუშაობით და კოოპერაციული ქონების დაცვის საქმეში ადგილობრივ ხელმძღვანელ მუშაკთა უდარდელობით. საჭიროა გაძლიერდეს კონტროლი კოოპერაციული სახსრების ხარჯვისადმი, ულმობელი ბრძოლა გამოეცხადოს კოოპერაციული ქონებისადმი უყაირათო დამოკიდებულებას, მფლანგველობას, მტაცებლობასა და დაუდევრობას.

ამხანაგო დეპუტატებო! ომისშემდგომი ხუთწლედის პირველი ორი წლის მიღწევებით აღფრთოვანებული დიდი საბჭოთა ხალხი მტკიცედ მიდის წინ სახალხო მეურნეობის ახალი აღმავლობისაკენ, კულტურისა და მეცნიერების ახალი აყვავებისაკენ, თავისი სოციალისტური სამშობლოს ძლიერების შემდგომი განმტკიცებისაკენ.

სახალხო-სამეურნეო გეგმების შესრულება, ახალი ხუთწლედის ოთხ წელიწადში განხორციელებისათვის შეუნელებელი ბრძოლა — ასეთია თვითეული სამეურნეო მუშაკის, ყველა მშრომელის გადაუდებელი ამოცანა.

ამხანაგო დეპუტატებო! სახალხო მეურნეობის ყველა დარგის აღმავლობის უშრეტ წყაროს წარმოადგენს საბჭოთა პატრიოტიზმი, საბჭოთა ხალხის უსაზღვრო სიყვარული და ერთგულება ლენინ-სტალინის პარტიისადმი, სოციალისტური სამშობლოსადმი, ხალხთა ბელადისა და მასწავლებლის დიდი სტალინისადმი.

გაუმარჯოს ჩვენს უძლეველ სამშობლოს!

გაუმარჯოს ქართველი ხალხის საამაყო შვილს, დიდ სახელმწიფო მოღვაწეს ამხანაგ ლ. პ. ბერიას!

დიდება დიდ სტალინს! (ტაში).

### დეპუტატ გ. ზ. ქარჩავას სიტყვა

**(ზუგდიდის რაიონი, ცაიშის საარჩევნო ოლქი)**

ამხანაგო დეპუტატებო! საქართველოს საბჭოთა სოციალისტური რესპუბლიკის უმაღლესი საბჭოს მიმდინარე სესიის განსახილველად წარმოდგენილ 1948 წლის ბიუჯეტის პროექტში მკაფიო გამოხატულებას პოულობენ ის დიდი ამოცანები, რომლებიც დასახულია საქართველოს სახალხო მეურნეობის წინაშე მეოთხე სტალინური ხუთწლედით. ბიუჯეტით გათვალისწინებული ასიგნობანი უზრუნველჰყოფენ საქართველოს რესპუბლიკის მრეწველობის, სოფლის მეურნეობისა და კულტურის სწრაფ განვითარებას და მშრომელთა მატერიალური კეთილდღეობის შემდგომ ამაღლებას.

სსრ კავშირის სახალხო მეურნეობის აღდგენისა და განვითარების ხუთწლიანი გეგმის კანონში ნათქვამია: „გადაჭარბებულ იქნას სახალხო შემოსავლისა და სახალხო მოხმარების ომამდელი დონე, რისთვისაც ყოველმხრივ ამაღლდეს კვების მრეწველობა, გაფართოვდეს ფართო მოხმარების საგნების მასობრივი წარმოება, გამრავლდეს საკოლმეურნეო შემოსავალი, გადიდდეს საქონელბრუნვა“. ეს უდიდეს პასუხისმგებლობას აკისრებს იმ სამინისტროებსა და საწარმოებს, რომლებიც მოწოდებული არიან გააფართოონ კვებისა და ფართო მოხმარების საგნების წარმოება და მოსახლეობისათვის მიწოდება. საგემოვნო მრეწველობის სამინისტრომ 1947 წელს საერთო პროდუქციის გამოშვების გეგმა 119,6 პროცენტით შეასრულა, კვების მრეწველობის სამინისტრომ — 103,4 პროცენტით, ხორცისა და რძის მრეწველობის სამინისტრომ — 101,1 პროცენტით, საფეიქრო მრეწველობის სამინისტრომ—110,8 პროცენტით, და მსუბუქი მრეწველობის სამინისტრომ — 109,1 პროცენტით. 1947 წლის გეგმა გადაჭარბებით შეასრულეს აგრეთვე საქართველოს კონსერვტრესტმა, აგარის შაქრის ქარხანამ, ბერიას სახელობის თბილისის ფეხსაცმლის ფაბრიკამ, შამპანური ღვინოების კომბინატმა და მთელმა რიგმა სხვა საწარმოებმა და ტრესტებმა. ზოგიერთმა სამინისტრომ და საწარმომ საგრძნობლად გადააჭარბა სამრეწველო პროდუქციის გამოშვების ომამდელ დონეს.

მიუხედავად ამისა, ამ სამინისტროთა და საწარმოთა მუშაობას ჯერ კიდევ მრავალი სერიოზული ნაკლი ახასიათებს. ზოგმა სამინისტრომ და ტრესტმა საერთო პროდუქციის მხრივ გეგმის შესრულებასთან ერთად ვერ უზრუნველჰყო სასაქონლო პროდუქციის გამოშვების გეგმის შესრულება, ვერ უზრუნველჰყო აგრეთვე გეგმის შესრულება ყველა ტრესტის, საწარმოს და საამქროს მიერ. მაგალითად, ხორცისა და რძის მრეწველობის სამინისტრომ ხორცის გამოშვების გეგმა შეასრულა 95,1 პროცენტით, კარაქისა—96,7 პროცენტით, რძისა და რძის სხვა პროდუქტებისა — 85,8 პროცენტით. საქართველოს მინერალური წყლების ტრესტს 1947 წელს არ შეუსრულებია არც საერთო პროდუქციისა და არც სასაქონლო პროდუქციის გამოშვების დავალება. სამტრესტმა ყურძნის დამზადების 1947 წლის გეგმა 113,7 პროცენტით გაანაღდა, თვით სამტრესტის მევენახეობის საბჭოთა მეურნეობებმა კი ყურძნის ჩაბარების გეგმა მხოლოდ 63,4 პროცენტით შეასრულეს.

მაგრამ, მთავარი რასაც განსაკუთრებით უნდა გაესვას ხაზი, ეს არის პროდუქციის ასორტიმენტისა და ხარისხის დაცვა. ძირითადი და საერთო ნაკლი სამინისტროებისა და საწარმოებისა ის არის, რომ სათანადო ყურადღება არ ექცევა გამოშვებული პროდუქციის ასორტიმენტსა და ხარისხს, ანგარიში არ ეწევა მოსახლეობის გემოვნებასა და მოთხოვნილებას.

შარშან მსუბუქი მრეწველობის სამინისტროს თითქმის არცერთ ფაბრიკას არ შეუსრულებია პროდუქციის გამოშვების გეგმა ასორტიმენტის მიხედვით. ტექნოლოგიურ პროცესს განსაკუთრებით ხშირად არღვევენ და ცუდი ხარისხის ნაწარმს უშვებენ: სამკერვალო ფაბრიკებიდან — თბილისის პირველი და მეშვიდე, ქუთაისისა და ბათუმის ფაბრიკები, ფეხსაცმლის ფაბრიკებიდან—თბილისის პირველი და მეორე ფაბრიკები. მზა ნაწარმი მრეწველობის გასაღების ბაზებს და სავაჭრო ორგანიზაციებს შეუფუთავად ბარდება, რაც კიდევ უფრო აუარესებს პროდუქციის ხარისხს. ხორცისა და რძის მრეწველობის სამინისტროს საწარმოთა მიერ გამოშვებული ძეხვი მეტად შეზღუდული ასორტიმენტისა და ამასთან დაბალი ხარისხისაა. ჯერ კიდევ ცუდი ხარისხის პაპიროსსა და თამბაქოს უშვებენ თამბაქოს ფაბრიკები. საკონსერვო ქარხნები ზოგი ასორტიმენტის პროდუქციას, როგორიცაა ნიგვზის, კომშის, მსხლის, ვაშლის, ბლისა და ალუბლის მურაბა და კომპოტები, მეტად შეზღუდული რაოდენობით უშვებენ და გეგმას არ ასრულებენ. სრულიად შეუწყნარებელ მდგომარეობაშია ხარისხისა და ასორტიმენტის საქმე სარეწაო და ინვალიდთა კოოპერაციის საწარმოებში. ამ საწარმოებში ცუდად არის დაყენებული მზა ნაწარმის ხარისხის შემოწმების საკითხი, რის შედეგადაც თითქმის მთელი გამოშვებული პროდუქცია პირველ ხარისხისად არის ჩათვლილი. სინამდვილეში კი ამ ნაწარმის საგრძნობი ნაწილი ცუდი ხარისხისაა.

ამ ფაქტებიდანაც ცხადია, თუ რა დიდი მუშაობის გაწევა დასჭირდებათ სამინისტროების, ფაბრიკებისა და ქარხნების ხელმძღვანელებს პროდუქციის ასორტიმენტისა და ხარისხის გასაუმჯობესებლად.

ფულის რეფორმამ, საბარათო სისტემის გაუქმებამ და სამრეწველო და სასურსათო პროდუქტების ერთიანი სახელმწიფო ფასების შემოღებამ მნიშვნელოვნად აამაღლა მშრომელთა მატერიალური საყოფაცხოვრებო დონე, გაზარდა მათი მოთხოვნილება სამრეწველო საქონელზე და სასურსათო პროდუქტებზე. ჩვენი სამეურნეო მუშაკების ამოცანაა გარდაჰქმნან თავიანთი მუშაობა ახალი ვითარების მიხედვით, [illegible] ფილება. არ უნდა დავივიწყოთ, რომ პროდუქციის გამოშვების გეგმების რაოდენობრივი და ხარისხობრივი მაჩვენებლების დაცვით შესრულება ბიუჯეტის საშემოსავლო ნაწილის შესრულების ერთ-ერთი გადამწყვეტი პირობაა.

ამხანაგო დეპუტატებო! როგორც მოხსენებაში იყო ნათქვამი, სესიის განსახილველად წარმოდგენილი ბიუჯეტით საგრძნობი თანხებია გათვალისწინებული სახალხო მეურნეობის დასაფინანსებლად, კერძოდ, კაპიტალური დაბანდების ხაზით. ეს იმას მოწმობს, რომ მწყობრში ჩადგება ახალი ქარხნები, ფაბრიკები, რაც ხელს შეუწყობს ჩვენი ქვეყნის თავდაცვისუნარიანობის განმტკიცებას და სურსათისა და ფართო მოხმარების საქონლის სიუხვის შექმნას. ამასთან არ შეიძლება არ აღინიშნოს, რომ ზოგიერთი სამინისტროს ხაზით კაპიტალური დაბანდების თანხების ათვისებისა და ახალ სიმძლავრეთა საექსპლოატაციოდ გადაცემის საქმე ჯეროვნად ვერ არის დაყენებული. ხორცისა და რძის მრეწველობის სამინისტრომ კაპიტალური მშენებლობის 1947 წლის გეგმა მხოლოდ 67 პროცენტით შეასრულა, ხოლო კვების მრეწველობის სამინისტრომ—95,7 პროცენტით, საფეიქრო მრეწველობის სამინისტრომ — 78,9 პროცენტით. მშენებლობის ასეთი ჩამორჩენა საფრთხეში აყენებს გეგმით გათვალისწინებულ სიმძლავრეთა საექსპლოატაციოდ გადაცემას მთავრობის მიერ დაწესებულ ვადებში. დარწმუნებული ვარ—აღნიშნული სამინისტროები გაითვალისწინებენ ამას და ყველაფერს გააკეთებენ იმისათვის, რომ ახალი სტალინური ხუთწლედის მესამე წლის ამოცანები წარმატებით შესრულდეს.

ამხანაგო დეპუტატებო! მე ვუერთდები გამოსული დეპუტატების წინადადებას წარმოდგენილი ბიუჯეტის დამტკიცების შესახებ, საბიუჯეტო კომისიის მიერ შემოტანილი შესწორებებით.

ეჭვი არ არის, რომ ქართველი ხალხი, აღზრდილი ამხანაგ ბერიას მიერ მუშაობის სტალინურ ტრადიციებზე, საქართველოს ბოლშევიკების ცენტრალური კომიტეტის ხელმძღვანელობით უზრუნველჰყოფს 1948 წლის ბიუჯეტის მთლიანად შესრულებას და მოიპოვებს ახალ გამარჯვებებს კომუნისტური პარტიისა და ჩვენი ბელადის, ამხანაგ სტალინის მიერ დასახულ ამოცანათა განხორციელებაში.

გაუმარჯოს ქართველი ხალხის საამაყო შვილს ამხანაგ ბერიას!

გაუმარჯოს დიდ ბელადსა და მხედართმთავარს ამხანაგ სტალინს! (ტაში).

## საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს მესამე სესია

# კამათი საქართველოს სსრ 1948 წლის სახელმწიფო ბიუჯეტის შესახებ მოხსენების გამო

### დეპუტატ თ. ნ. ქვლივიძის სიტყვა

(ქ. თბილისი, კოლხიდის საარჩევნო ოლქი)

ამხანაგო დეპუტატებო! ქალაქ თბილისის ორჯონიკიძის რაიონის მშრომელებმა 1947 წლის ბიუჯეტის საშემოსავლო ნაწილი 110,1 პროცენტით შეასრულეს. საკუთარი შემოსავალი, ნაცვლად გათვალისწინებული 17.626.300 მანეთისა, მიღებულია 19.410.500 მანეთი. ბიუჯეტის საგასავლო ნაწილი უდრიდა 17.626.300 მანეთს. ფაქტიურად დაიხარჯა 16.728.800 მანეთი, ე. ი. ბიუჯეტის საგასავლო ნაწილი შესრულებულია 94 პროცენტით.

საგრძნობლად გააუმჯობესეს მუშაობა რაიონის საწარმოებმა. მაგალითად, აბრეშუმის საქსოვმა ფაბრიკამ წლიური გეგმა 105,5 პროცენტით შეასრულა და ჩვენს ქვეყანას მისცა მოგება 750.000 მანეთი. ავეჯის ფაბრიკამ გეგმა შეასრულა 118,5 პროცენტით და დაზოგა 141.300 მანეთი, საბურთალოს მექანიზებულმა აგურის ქარხანამ საწარმოო პროგრამა გაანაღდა 115 პროცენტით და დაზოგა 80.000 მანეთი და სხვ.

შარშან თბილისის ორჯონიკიძის რაიონში აშენდა საბავშვო ბაგა, რაზეც 158.300 მანეთი დაიხარჯა, ფიზკულტურის პარკის მშენებლობაზე ვაკეში დაიხარჯა 80.000 მანეთი, საცხოვრებელი სახლის მშენებლობაზე მარის ქუჩაზე—716.000 მანეთი. თვალსაჩინო მუშაობა ჩატარდა საბურთალოს რაიონის კეთილმოწყობის მიზნით. ტრამვაის ლიანდაგი კაპიტალურად შეკეთდა მარისა და მელიქიშვილის ქუჩებზე და სხვ. მაგრამ რაიონის კეთილმოწყობისათვის ჯერ კიდევ დიდი მუშაობაა საჭირო.

კეთილმოწყობის სამუშაოთა შესრულებას ხელს უშლის ის, რომ ქალაქის სამშენებლო ტრესტს არა აქვს სათანადო ტექნიკური ბაზა, არ არის უზრუნველყოფილი კვალიფიციური მშენებლებით. ძირითადად მშენებლობა მიმდინარეობს მექანიზმების გამოუყენებლად, არ ხდება გეგმიანი მომარაგება სამშენებლო მასალებით.

მუშაობის არასწორი ორგანიზაციის შედეგია ის, რომ საბურთალოს კოლექტორის მშენებლობის დროს არ ხდებოდა დროულად თხრილების ამოვსება და ზედმეტი მიწის გატანა. ერთი თვის განმავლობაში მიწა დატკეპნა და ახლა მოითხოვს ხელახლა მოთხრას. მუშაობის არასწორი ორგანიზაციის შედეგია ისიც, რომ რაიონული საბჭოების აღმასკომები და მათი განყოფილებები საცხოვრებელი ბინებისა და სასკოლო შენობების რემონტს, რაზეც ყოველწლიურად დიდი თანხები იხარჯება, არასათანადო ხარისხით ატარებენ, ხშირად ადგილი აქვს გადახარჯვას. მშენებლობისა და რემონტის ხარისხი დამოკიდებულია ძირითადად სამშენებლო მასალებზე, მათს გეგმიან მომარაგებაზე. თუ მასალები არ არის, ესა თუ ის ობიექტი გეგმიდან უნდა იქნას ამოღებული, რათა არ მოხდეს თანხების არასწორი ათვისება.

არადამაკმაყოფილებლად მიმდინარეობს სასკოლო შენობების შეკეთება. სასკოლო შენობების შეკეთებისათვის ყოველწლიურად წინასწარ რამდენიმე თვით ადრე ხდება ხარჯთაღრიცხვის შედგენა, ივნისის ბოლოდან იწყება ამ სამუშაოს გაშლა. მაგრამ იმის შედეგად, რომ ქალაქის საბჭოს აღმასკომი გეგმიანად ვერ გვამარაგებს ადგილობრივი მასალებითაც კი, ხოლო ზოგჯერ გამოყოფილი მასალა უხარისხოა, ხდება სასკოლო შენობების შეკეთების გაჭიანურება.

საჭიროა აღმასკომის კომუნალურმა და სასკოლო განყოფილებებმა დროულად მოიმარაგონ მასალები საბინაო ფონდის და სასკოლო შენობების შეკეთების ჩასატარებლად. სამუშაო ობიექტის წინასწარი შესწავლით, მუშაობის სწორი ორგანიზაციით, მასალების გეგმიანი მომარაგებით, სათანადო დახმარებითა და კონტროლით უნდა მივაღწიოთ მშენებლობისა და რემონტის გეგმების დროულად და მაღალხარისხოვნად შესრულებას.

ამხანაგო დეპუტატებო! რომელიმე საწარმოს მიერ გეგმის შეუსრულებლობა, წაგებიანი მუშაობა, სახსრების გადახარჯვა ადმინისტრაციულ-ტექნიკური პერსონალის შენახვაზე, მასალა-ნედლეულის არაეკონომიურად ხარჯვა, უდიერი მოპყრობა დაზგა-დანადგარებისადმი, დაბალი ხარისხის პროდუქციის გამოშვება — ყოველივე ეს ამცირებს სახელმწიფო შემოსავალს. საჭიროა საწარმოთა ხელმძღვანელებმა ღრმად შეისწავლონ წარმოების ეკონომიკა, გასწიონ მომჭირნეობა, მეტი დაგროვება მიიღონ. ადგილობრივი საბჭოების მოვალეობაა იბრძოლონ ბიუჯეტის როგორც საშემოსავლო, ისე საგასავლო ნაწილის შესრულებისათვის.

ამხანაგო დეპუტატებო! წარმოდგენილი ბიუჯეტი სრულად ასახავს მთელი ჩვენი ხალხის ინტერესებს. მე ვუერთდები ამ სესიაზე გამოსული დეპუტატების აზრს, რათა დამტკიცებულ იქნეს რესპუბლიკის 1948 წლის ბიუჯეტი.

გაუმარჯოს მძლავრ საბჭოთა ქვეყანას!

გაუმარჯოს ლენინ-სტალინის პარტიას!

დიდება დიდ სტალინს! (ტაში).

### დეპუტატ შ. დ. გეთიას სიტყვა

(გაგრის რაიონი, განთიადის საარჩევნო ოლქი)

ამხანაგო დეპუტატებო!

მეოთხე სტალინური ხუთწლედის განვლილმა ორმა წელმა ცხადჰყო არა მარტო ხუთწლიანი გეგმით დასახულ ღონისძიებათა რეალობა, არამედ დიდი შესაძლებლობანი ხუთწლედის ოთხ წელიწადში შესრულებისათვის.

საქართველოს მშრომელების მიერ განვლილ წლებში მოპოვებულ წარმატებებში თავიანთი წვლილი შეიტანეს გაგრის რაიონის მშრომელებმაც. რაიონის საწარმოებმა წლიური გეგმები ოქტომბრის რევოლუციის 30 წლისათვის შეასრულეს. მარტო თამბაქოს საფერმენტაციო ქარხანამ 1947 წელს სახელმწიფოს 3 მილიონ მანეთზე მეტი მოგება მისცა. ასევე მოგებით დაამთავრეს 1947 წელი სარეწაო და სხვა არტელებმა.

ახორციელებდნენ რა საკავშირო კ. პ. (ბ) ცენტრალური კომიტეტის თებერვლის პლენუმის ისტორიულ დადგენილებას და იბრძოდნენ რა ამხანაგ სტალინისათვის მიცემული პირობის შესრულებისათვის, 1947 წელი რაიონის კოლმეურნეობებმა დამაკმაყოფილებელი მაჩვენებლებით დაამთავრეს, საშუალოდ ჰექტარზე მიიღეს 8,85 ცენტნერი თამბაქო, ნაცვლად 1940 წელს მიღებული 4,6 ცენტნერისა, სახელმწიფოს გეგმის გადამეტებით ჩააბარეს 370 ტონა თამბაქო.

თვალსაჩინო მიღწევებია მოპოვებული ციტრუსების პლანტაციების მოვლის გაუმჯობესებისა და მოსავლიანობის გადიდებისათვის. 1947 წელს სახელმწიფოს ჩაბარდა 44 მილიონამდე ცალი ციტრუსების ნაყოფი, ნაცვლად 1941 წელს ჩაბარებული 17 მილიონისა და 1946 წლის 22 მილიონი ცალისა.

ასევე გადაჭარბებით შესრულდა მრავალწლიანი კულტურების გაშენების გეგმაც, ციტრუსების დარგვში დავალება განაღდებულია 195,2 პროცენტით, ხოლო ევკალიპტისა — 156 პროცენტით.

მიუხედავად გასული წლის არახელსაყრელი კლიმატური პირობებისა, ჩვენი რაიონის კოლმეურნეებმა თვითეულ ჰექტარზე მოიყვანეს 13,6 ცენტნერი მარცვლეული, ნაცვლად 1946 წელს მიღებული 5,6 ცენტნერისა.

კოლმეურნეობებმა მნიშვნელოვან წარმატებებს მიაღწიეს საზოგადოებრივი მეცხოველეობის დარგშიც, გარდა მეცხენეობისა, დიდად გადააჭარბეს ომისწინანდელ დონეს.

გაიზარდა კოლმეურნეობათა და კოლმეურნეთა შემოსავალი. კოლმეურნეობათა ფულადმა შემოსავალმა 40 მილიონ მანეთს გადააჭარბა, რაიონის 32 კოლმეურნეობიდან 19 მილიონერია. რაიონში ბევრია კოლმეურნეთა ისეთი ოჯახები, რომლებმაც შრომადღეებზე 20-40 ათასამდე მანეთი და 3-5 ტონამდე მარცვლეული მიიღეს. საგულისხმოა, რომ აღნიშნულ წარმატებათა მოპოვებისათვის შარშან კოლმეურნეებმა თითქმის იმდენივე შრომადღე დახარჯეს, რამდენიც 1940 წელს.

ყოველივე ამან შესაძლებლობა მისცა რაიონს წარმატებით შეესრულებინა 1947 წლის ბიუჯეტი როგორც საშემოსავლო, ისე საგასავლო ნაწილში. ამ წარმატებებთან ერთად ჩვენს მუშაობაში ჯერ კიდევ ბევრია ნაკლიც. საერთო რაიონულ დამაკმაყოფილებელ საშუალო მაჩვენებლებში იმალება ჩამორჩენილი კოლმეურნეობები, რომლებიც მთელი რიგი კულტურების დაბალ მოსავალს იღებენ, ვერ ასრულებენ დავალებებს მეცხოველეობის პროდუქტიულობის ზრდის დარგში და სხვ.

ყოველივე ეს გავითვალისწინეთ მიმდინარე წლის გეგმების შესრულებისათვის, დავსახეთ და უკვე ვახორციელებთ საჭირო ღონისძიებებს. 1948 წლის განვლილ პერიოდში ჩატარებული მუშაობა გვიჩვენებს, რომ რაიონის საწარმოები და კოლმეურნეობანი შარშანდელზე უფრო ორგანიზებულად მუშაობენ.

ფართოდ არის ცნობილი გაგრის მნიშვნელობა, როგორც კურორტისა. მაგრამ სამამულო ომის წლებში იგი ძლიერ დაზიანდა. ამ მდგომარეობის გამოსასწორებლად რაიონის მშრომელებმა სერიოზული მუშაობა გასწიეს. კურორტის აღდგენის საქმეში დიდ დახმარებას გვიწევენ საქართველოს სსრ მთავრობა და საქართველოს კ. პ. (ბ) ცენტრალური კომიტეტი. სსრ კავშირის მთავრობამ გასულ წელს მიიღო დადგენილება გაგრაში ახალი წყალსადენისა და ჰიდროელექტროსადგურის მშენებლობის, მდინარე ჟოეკვარისა და ზღვის სანაპიროების გამაგრების, კურორტის მთავარი ქუჩის რეკონსტრუქციისა და ნავსადგურის მშენებლობის შესახებ. ყველა ეს სამუშაო ძირითადად წარმატებით მიმდინარეობს.

გარდა ამისა, 1947 წელს აღდგენილ იქნა წყალსადენის არსებული ქსელი და ჰიდროელექტროსადგურის სათავე, დაიწყო ელექტროქსელის რეკონსტრუქცია. სერიოზული მუშაობა ჩატარდა კურორტის ტერიტორიის გასამწვანებლად. ყველა სანატორიუმი და დასასვენებელი სახლი, გარდა ერთისა, რომლის აღდგენა ამჟამად მიმდინარეობს, გასული წლის პირველი ნახევრიდან უკვე ამუშავებულია. 1947 წელს მათ მომსახურება გაუწიეს 17.244 კაცს. ამჟამად ჩვენს წინაშე დასმულია ამოცანა მივაღწიოთ დასასვენებელი სახლებისა და სანატორიუმების გამტარუნარიანობის ომისწინანდელ დონეს. ყველა ზომას ვიღებთ იმისათვის, რომ წელს საკურორტო სეზონი წარმატებით ჩატარდეს. ქალაქ გაგრის მშრომელები აქტიურად მონაწილეობენ კურორტის კეთილმოწყობაში. მიმდინარე წლის მარტო ორ თვეში რემონტი გაუკეთდა ქალაქის ქუჩებს 4.190 გრძივ მეტრზე. სწარმოებს აგრეთვე კურორტის პარკის აღდგენა და კეთილმოწყობა. რაიონის კოლმეურნეობები უკვე შეუდგნენ სოფელ ახალი კოლხიდის დაბლობის დაშრობის სამუშაოთა შესრულებას, რასაც კურორტისათვის დიდი მნიშვნელობა აქვს.

კურორტის აღდგენისა და კეთილმოწყობის საქმეში დასახულ ამოცანათა შესრულების უზრუნველსაყოფად ვთხოვ უმაღლესი საბჭოს სესიას ბიუჯეტში გაგრის რაიონისათვის დამატებით გაითვალისწინოს ელექტროქსელის რეკონსტრუქციის გაგრძელება. ამ სამუშაოს შესასრულებლად ხარჯთაღრიცხვით საჭიროა 2.991 ათასი მანეთი. რეკონსტრუქცია დაიწყო 1947 წელს და უკვე გაღებული თანხა — 701 ათასი მანეთი მთლიანად ათვისებულია. ამ სამუშაოს გაგრძელებისათვის ასიგნობათა გაუთვალისწინებლობა კურორტის მუშაობას შეაფერხებს.

ამხანაგო დეპუტატებო! ბიუჯეტის წარმოდგენილი პროექტი სწორად ასახავს იმ ღონისძიებებს, რომელთა განხორციელებამ უნდა უზრუნველჰყოს ხუთწლიანი გეგმის ოთხ წელიწადში შესრულება. მე მხარს ვუჭერ სიტყვებით გამოსული დეპუტატების წინადადებას ბიუჯეტის პროექტის დამტკიცების შესახებ.

გაგრის რაიონის მშრომელები ყველა ზომას მიიღებენ იმისათვის, რომ შრომის ნაყოფიერების შემდგომი ზრდით, მაღალი მოსავლისათვის ბრძოლის კიდევ უფრო გაძლიერებით, ჩვენი ქვეყნის მოწინავე ადამიანების საკურორტო მომსახურების გაუმჯობესებით, თვითეული საბჭოთა მანეთის მომჭირნეობით და ეფექტიანი ხარჯვით მიმდინარე წელს მიაღწიონ კიდევ უფრო საამაყო მაჩვენებლებს. ეს იქნება ჩვენი პასუხი იმ მზრუნველობაზე, რომელსაც ჩვენზე იჩენენ მშობლიური ბოლშევიკური პარტია, საბჭოთა მთავრობა, ჩვენი მამა და მასწავლებელი დიდი სტალინი. (ტაში).

### დეპუტატ გ. ე. ალავიძის სიტყვა

(შორაპნის საარჩევნო ოლქი, ზესტაფონის რაიონი)

ამხანაგო დეპუტატებო! საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს მიერ სესიაზე განსახილველად შემოტანილი ბიუჯეტის პროექტი ითვალისწინებს ჩვენი სახალხო მეურნეობის ყველა დარგების სწრაფი ტემპებით განვითარებას, ხალხის მატერიალური და კულტურული დონის შემდგომ ამაღლებას.

ბიუჯეტის საშემოსავლო ნაწილის შესრულება დიდად არის დამოკიდებული მრეწველობის კარგ მუშაობაზე. აუცილებელია განვამტკიცოთ საწარმოებში სამეურნეო ანგარიში, გავადიდოთ დაგროვება, უზრუნველვყოთ პროდუქციის თვითღირებულების შემცირება — შრომის ნაყოფიერების ზრდითა და ნედლეულის, სათბობისა და ელექტროენერგიის მომჭირნეობით ხარჯვის საშუალებით.

სასურსათო და სამრეწველო საქონელზე საბარათო სისტემის გაუქმებამ კვების მრეწველობის წინაშე დააყენა ახალი ამოცანები — საკვები პროდუქტების გამოშვების საგრძნობლად გადიდება, ასორტიმენტის გაფართოება და პროდუქციის ხარისხის მკვეთრად გაუმჯობესება. საქართველოს კვების მრეწველობის მუშაკები, რომელთაც მტკიცედ აქვთ შეგნებული, თუ რა დიდი მნიშვნელობა აქვს მოსახლეობის მომარაგებას საკმაო და მაღალხარისხოვანი პროდუქტებით, ერთსულოვნად გამოეხმაურნენ ლენინგრადელთა პატრიოტულ მოწოდებას და ახალი ვალდებულებანი იკისრეს საწარმოო გეგმების ვადამდე შესრულებისათვის. 1947 წლის საწარმოო გეგმა კვების მრეწველობამ 103,4 პროცენტით გაანაღდა. კაპიტალური მშენებლობის გეგმა შესრულებულია 173,5 პროცენტით. წარმატებით დაამთავრეს 1947 სამეურნეო წელიწადი ზეთსახდელმა ქარხნებმა, თბილისის მაკარონის ფაბრიკამ, თბილისის მეორე და მესამე საკონდიტრო ფაბრიკებმა. სოხუმის საკონდიტრო ფაბრიკამ გეგმის გადამეტებით შესრულებასთან ერთად დიდი მუშაობა გასწია საკონდიტრო მრეწველობაში ახალი სახის ნედლეულის ასათვისებლად, რის გამოც სსრ კავშირის კვების მრეწველობის სამინისტროსაგან მაღალი შეფასება მიიღო. განსაკუთრებით კარგი მაჩვენებლები მოგვცა ტუნგოს მრეწველობამ. თუ 1946 წელს 1 ტონა ტუნგოს ზეთის მისაღებად იხარჯებოდა 39 ტონაზე მეტი ტუნგოს ნაყოფი, 1947 წელს დაიხარჯა 22 ტონანახევარი.

მიმდინარე წლის პირველ კვარტალში კვების მრეწველობას გაცილებით უკეთესი მაჩვენებლები აქვს ვიდრე გასული წლის პირველ კვარტალში ჰქონდა. საერთო პროდუქციის გამოშვების გეგმა იანვარში შესრულებულია—109,9 პროცენტით, ხოლო თებერვალში—113,7 პროცენტით. ორივე თვის განმავლობაში გამომუშავებულია 62,5 პროცენტით მეტი პროდუქცია, ვიდრე 1947 წლის შესაბამის პერიოდში.

1947 წლის მუშაობის ფინანსიური მაჩვენებლები ასეთია: ბიუჯეტით გათვალისწინებული დაგროვების გეგმა 136,8 პროცენტითაა შესრულებული. ნაცვლად გათვალისწინებული 42.687 ათასი მანეთისა, მივიღეთ 58.375 ათასი მანეთი. ბიუჯეტმა ნაცვლად გათვალისწინებული 38.991 ათასი მანეთისა, მიიღო 48.679 ათასი მანეთი, ანუ 9.888 ათასი მანეთით მეტი.

დეპუტატმა ქარჩავამ სამართლიანად გააკრიტიკა სამრეწველო სამინისტროების ზოგი საწარმოს მუშაობა. ეს კრიტიკა კვების მრეწველობასაც შეეხება. საქართველოს სსრ კვების მრეწველობას გაცილებით უკეთესი საწარმოო მაჩვენებლები ექნებოდა, რომ მის მუშაობაში ადგილი არ ჰქონდეს სერიოზულ ნაკლოვანებებს. მაგალითად, თბილისის პირველმა საკონდიტრო ფაბრიკამ 1947 წელს გადახარჯა 79 ტონა მაზუთი, თბილისის პირველ პურის ქარხანას აკლია 229 ტონა ქვანახშირი. საწვავის გადახარჯვა აქვს აგრეთვე თბილისის საპნის ქარხანას.

მიმდინარე წელს კვების მრეწველობის სამინისტრომ 43,5 პროცენტით მეტი პროდუქცია უნდა გამოუშვას ვიდრე 1947 წელს. ამისათვის 1948 წლის გეგმით გათვალისწინებულია, როგორც მოქმედი საწარმოების რეკონსტრუქცია, გაფართოება და ტექნიკური შეიარაღება, აგრეთვე ახალ საწარმოთა მშენებლობა. წელს უნდა დამთავრდეს ფოთის და ქუთაისის მექანიზებული პურის ქარხნები; ჩატარდება კვეზანის და თბილისის მეორე პურის ქარხნების რეკონსტრუქცია; დაწყებულია გორის პურის ქარხნის აგება. გათვალისწინებულია აგრეთვე თბილისში ცაკის რაიონში ახალი პურის საცხობის მშენებლობა 20 ტონა სადღეღამისო სიმძლავრით; უნდა დამთავრდეს ოჩამჩირის ტუნგოს ზეთსახდელი ქარხნის პირველი რიგის აგება; მესამე კვარტალში შევა მოქმედ საწარმოთა რიგებში თბილისის შოკოლადის ფაბრიკა; თბილისის მარგარინის ქარხნის ტერიტორიაზე დაწყებულია მძლავრი კომბინატის მშენებლობა, რომლის შემადგენლობაში შევა გარდა მოქმედი მარგარინის ქარხნისა, ცხიმის საჰიდროგენიზაციო ქარხანა 12 ათასი ტონის წლიური წარმადობით, ზეთსახდელი ქარხანა, რომელიც წლიურად გამოუშვებს 4 ათას ტონა საჭმელ ზეთს და საპნის ქარხანა, რომელიც 10 ათასი ტონა სარეცხის და ათას ტონა ხელის საპონს გამოუშვებს; აპრილში დიდუბის რაიონში დაიწყება ხუთწლიანი გეგმით გათვალისწინებული საკონდიტრო ფაბრიკის მშენებლობა, რომელიც 12.500 ტონა საკონდიტრო ნაწარმს მოგვცემს წლიურად. იგი დაამზადებს სხვა და სხვა გვარ ნამცხვარს, საშაქარლამო ნაწარმს და შოკოლადს.

წარმოდგენილი ბიუჯეტის პროექტით გათვალისწინებულია წელს საქართველოს კვების მრეწველობამ მოგვცეს 60 მილიონ 690 ათასი მანეთის დაგროვება. მიმდინარე წლის პირველი ორი თვის შედეგები გვაძლევს საბაბს განვაცხადოთ, რომ ბიუჯეტით გათვალისწინებული დაგროვების ეს გეგმა კვების მრეწველობის მიერ გადაჭარბებით იქნება შესრულებული.

ამხანაგო დეპუტატებო! მე მხარს ვუჭერ კამათში გამოსულ დეპუტატების მიერ შემოტანილ წინადადებას, რომ დამტკიცდეს საქართველოს მინისტრთა საბჭოს მიერ წარმოდგენილი საქართველოს საბჭოთა სოციალისტური რესპუბლიკის 1948 წლის სახელმწიფო ბიუჯეტის პროექტი.

ქართველი ხალხი, რომელიც გამსჭვალულია თავის საყვარელი სამშობლოს, ბოლშევიკური პარტიის, და საბჭოთა მთავრობისადმი უსაზღვრო ერთგულების სულისკვეთებით, არ დაიშურებს ძალას, რათა წარმატებით და პირნათლად შეასრულოს ეს ბიუჯეტი, გადაჭარბებით გაანაღდოს ხუთწლედის მესამე წლის გეგმა.

გაუმარჯოს ჩვენს საბჭოთა ქვეყანას!

გაუმარჯოს ჩვენს საყვარელ ლავრენტი პავლეს-ძე ბერიას!

დიდება დიდ სტალინს! (ტაში).

## საკდესი უარყოფს

როგორც ცნობილი გახდა, ამერიკის შეერთებული შტატების საზღვაო მინისტრმა სალივენმა, რომელიც 25 მარტს სენატის შეიარაღებული ძალების საქმეთა კომისიაში გამოვიდა, განცხადება გააკეთა იმის შესახებ, თითქმის ამას წინათ ამერიკის შეერთებული შტატების მახლობლად შენიშნული იყო წყალქვეშა ნავები, ამასთან მან კომისიას აგრძნობინა, რომ ეს საბჭოთა ნავები იყო. სალივენის ეს განცხადება-[illegible] მთელმა რიგმა ამერიკულმა [illegible], რომლებიც ავრცელებენ ამაღელვებელ ხმებს, რომ „შეერთებული შტატების ნაპირების მახლობლად შემჩნეული იყო რუსეთის წყალქვეშა ნავები“.

საკდეს დავალებული აქვს უარჰყოს ეს ცნობები, როგორც უაზრო და უხეში ცილისმწამებლური ჭორი, რაც ნავარაუდევია ამერიკის საზოგადოებრივი აზრის მოსატყუებლად.

### მოწინავე მევენახეთა მოწოდების პასუხად

## კარდანახელ კოლმეურნეთა ვალდებულებანი

მოწინავე მევენახეთა რესპუბლიკური თათბირის მონაწილეთა მიმართვის პასუხად გურჯაანის რაიონის კოლმეურნეობები, ბრიგადები, რგოლები და ცალკეული კოლმეურნეები ახალ ვალდებულებებს კისრულობენ ყურძნის მოსავლიანობის შემდგომი გადიდებისათვის.

სოფელ კარდანახის კოლმეურნეობა „წითელ მარანში“ (თავმჯდომარე ს. გულიაშვილი) განიხილეს მოწინავე მევენახეთა მიმართვა. მევენახეობის პირველი ბრიგადის ხელმძღვანელმა ალ. ჯიბლაშვილმა კრებაზე განაცხადა: მოწინავე მევენახეთა მოწოდება ჩვენს წინაშე დიდ ამოცანას აყენებს. ვკისრულობ ვალდებულებას ყოველი ღონე ვიხმარო იმისათვის, რომ 6 ჰექტარი ფართობის თვითეულ ჰექტარზე 80 ცენტნერი ყურძენი მივიღო, ხოლო 10 ჰექტარზე საშუალოდ — 60 ცენტნერი. მერგოლეურმა მ. მათიაშვილმა, რომელსაც 4 ჰექტარი ვენახი აქვს მიჩენილი, პირობა დადო თვითეულ ჰექტარზე 80 ცენტნერი ყურძენი მოიყვანოს და შეჯიბრებაში გამოიწვია მეორე ბრიგადის ხელმძღვანელი კ. ტეტელოშვილი. ამხ. ტეტელოშვილმა გამოწვევა მიიღო და იკისრა 6 ჰექტარზე საშუალოდ 80 ცენტნერი ყურძენი მოიყვანოს, ხოლო დანარჩენი 9,5 ჰექტარი ფართობის თვითეულ ჰექტარზე — 60 ცენტნერი. კოლმეურნე გ. ტეტელოშვილის ვალდებულებაა ერთ ჰექტარ ვენახზე საშუალოდ 100 ცენტნერი ყურძენი მოიყვანოს. კოლმეურნე ნინო ნიკოლაშვილმა პირობა დადო, რომ რგოლისათვის მიჩენილი 2 ჰექტარი ფართობის თვითეულ ჰექტარზე მოიყვანოს 60 ცენტნერი ყურძენი, ნაცვლად გეგმით გათვალისწინებული 45 ცენტნერისა. კონკრეტული ვალდებულებანი იკისრეს კოლმეურნეებმა ი. დარაშვილმა, ნინო, მარო, ვარო, შაქრო ბასილაშვილებმა, არჩილ მათიაშვილმა და სხვებმა.

კოლმეურნეობის მთლიანი ვალდებულება ასეთია: 10 ჰექტარი ფართობის თვითეულ ჰექტარზე მოიყვანოს 80 ცენტნერი ყურძენი ხოლო დანარჩენ 22 ჰექტარზე საშუალოდ — 60 ცენტნერი. ამ ვალდებულების გასანაღდებლად კოლმეურნეები პირობას იძლევიან ნამყენი ვაზი 7-ჯერ გათოხნონ, 6-ჯერ დახნან, ხოლო სრულმოსავლიან ნაკვეთებში თოხნა ჩაატარონ 8-ჯერ, ხვნა კი — 7-ჯერ. ჩაატარებენ ექვსჯერ წამლობას, 3-ჯერ გოგირდის შეფრქვევას და 3-ჯერ გაფურჩქვნა-ახვევას. წელს უხვმოსავლიან ნაკვეთებში თვითეულ ჰექტარზე შეიტანენ 300 ცენტნერ ნეხვს, გააშენებენ ერთ ჰექტარ ვენახს, დაამყნობენ 25.000 ძირ ვაზს და აღმოფხვრიან მეჩხერიანობას.

ახალი ვალდებულებანი იკისრეს კარდანახის ლენინის და ბერიას სახელობის კოლმეურნეობების წევრებმაც.

გურჯაანელი მევენახეები სიტყვას საქმედ აქცევენ და ყურძნის უხვ მოსავალს მოიყვანენ.

ვ. ციხისთავი

„კომუნისტის“ საკუთარი კორესპონდენტი

## მევენახეობას მეტი ყურადღება მიექცა

საჩხერის რაიონში საუკეთესო ხარისხის წითელი და თეთრი სუფრის ღვინოები დგება. ვენახის კულტურა საჩხერელი კოლმეურნის შემოსავლის მნიშვნელოვანი წყაროა.

ამჟამად რაიონში ვენახის საერთო ფართობი 1.870 ჰექტარს აღწევს. წარსულ წლებში ვენახების მოვლას ნაკლები ყურადღება ექცეოდა. ამის შედეგად დაბალი იყო ყურძნის მოსავალი. არსებულ ნაკლოვანებათა გამოსწორებისათვის რაიონში მოწვეულ იქნა მევენახე კოლმეურნეობათა თავმჯდომარეების, მევენახე ბრიგადირების, მერგოლეურების, გამოცდილი კოლმეურნეების, სოფლის მეურნეობის სპეციალისტების თათბირი, რომელმაც დასახა პრაქტიკული ღონისძიებანი. ამასთანავე მოეწყო ექსკურსია საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის საქარის (ზესტაფონის რაიონი) მევენახეობა-მეღვინეობის საცდელ სადგურში. იქ ექსკურსანტებმა მოისმინეს პროფესორ ტ. კვარაცხელიას ლექცია — „ყურძნის მოსავლიანობის გადიდების ღონისძიებანი“. ექსკურსანტებს ესაუბრა აგრეთვე ახალგაზრდა მეცნიერი მუშაკი გ. გაფრინდაშვილი ვაზის სხვლის წესების შესახებ.

მეოთხე სტალინურ ხუთწლედში რაიონში 259 ჰექტარი ვენახი უნდა გაშენდეს. აქედან პირველ ორ წელს უკვე გაშენებულია 89 ჰექტარი, ნაცვლად გეგმით გათვალისწინებული 75 ჰექტარისა. მესამე წელს კი 39 ჰექტარის ნაცვლად 50 ჰექტარი ვენახი შენდება. ამისათვის პლანტაჟის გეგმა 11 ჰექტარის გადაჭარბებით არის შესრულებული. სანერგეების მოსაწყობად მომზადებულია 8 ჰექტარი ნიადაგი. საგაზაფხულოდ დამყნობილია 900 ათასი ცალი ვაზი, ნაცვლად 812 ათასი ცალისა. ათდღიან კურსებზე მომზადდა ვაზის 120 მყნობელი კოლმეურნე, 200 მსხვლელი და 20 მევენახე ბრიგადირი.

საჩხერელები მოწინავე მევენახეთა რესპუბლიკური თათბირის მონაწილეთა მოწოდების პასუხად იბრძვიან იმისათვის, რომ წელს ყურძნის უხვი მოსავალი მიიღონ.

პ. ჭიოკაძე

„კომუნისტის“ საკუთარი კორესპონდენტი

## საგაზაფხულო ხვნა-თესვა კოლმეურნეობებში

საქართველოს სსრ სოფლის მეურნეობის სამინისტროს 25 მარტის ცნობებით, კოლმეურნეობებში საგაზაფხულოდ მოხნულია 105.979 ჰექტარი, რესპუბლიკური გეგმა შესრულებულია 33 პროცენტით. ხვნის გეგმები გადაჭარბებით შეასრულეს თბილისის, მარნეულის, წითელწყაროსა და ყვარლის რაიონებმა.

კაჭრეთის რაიონში ხვნის გეგმა შესრულებულია 95,7 პროცენტით, თელავის რაიონში — 85, მცხეთის — 81,8, გურჯაანის — 74,4, ლაგოდეხის — 76,9, სიღნაღის — 71,7, საგარეჯოს — 48,9, ბოლნისის — 42, ახმეტის — 50,5, თეთრი წყაროს — 42, დუშეთის — 22,2, კასპის — 45, გორის — 35,3, ქარელის — 22,6, ხაშურის — 31,5, ადიგენის — 3,6, საჩხერის — 1,8, ჭიათურის — 0,6, ზესტაფონის — 7,6, მაიაკოვსკის — 34,6, ვანის — 53,6, წულუკიძის — 72,2, სამტრედიის — 47,5, წყალტუბოს — 47, ქუთაისის 54,3, ლანჩხუთის — 16,1, მახარაძის— 32,5, ჩხოროწყუს — 32,3, წალენჯიხის — 66,4, ზობის — 29,6, ზუგდიდის — 50,7, გეგეჭკორის — 45,9, ცხაკაიას — 30,3, აბაშის — 60,5, აჭარის ასსრ — 1,7, აფხაზეთის ასსრ — 46,4, სამხრეთ ოსეთის ავტონომიურ ოლქში — 6,6, ფოთში — 69,8 პროცენტით.

25 მარტისათვის კოლმეურნეობებში დათესილი იყო 21.070 ჰექტარი საგაზაფხულო კულტურები, გეგმა შესრულებულია 4,1 პროცენტით. აქედან თავთავიანი მარცვლეული კულტურების თესვის გეგმა 11,8 პროცენტით არის შესრულებული, მზესუმზირისა — 48,6, კარტოფილის — 3, ბოსტნეულისა — 12,1 პროცენტით.

აფხაზეთის ასსრ კოლმეურნეობებში საგაზაფხულო კულტურების თესვის გეგმა შესრულებულია 0,4 პროცენტით, სამხრეთ ოსეთის ავტონომიურ ოლქში — 3,1, ქუთაისის რაიონში — 1,9, ვანის — 0,7, საჩხერის — 0,4, ხაშურის — 2,4, ქარელის — 3,5, გორის — 5, კასპის — 10,7, დუშეთის—2,6, თეთრი წყაროს — 10, გურჯაანის — 16,2, კაჭრეთის — 19,6, სიღნაღის — 34, წითელწყაროს — 12,3, თელავის — 10,6, ახმეტის — 12,9, ყვარლის — 22,7, ლაგოდეხის — 8,9, თბილისის — 46,4, მცხეთის — 11,1, გარდაბნის — 26,6, მარნეულის — 5,1, ბოლნისის — 4,4, საგარეჯოს რაიონში — 28,1 პროცენტით.

## კვარტალური გეგმების შესრულება

**სტალინის სახელობის თბილისის ორთქლმავალ-ვაგონსარემონტო ქარხნის** კოლექტივმა 26 მარტს შეასრულა ორთქლმავლებისა და ვაგონების შეკეთების პირველი კვარტალის გეგმა.

**თბილისის სართავ-საქსოვი სატრიკოტაჟო კომბინატის** კოლექტივმა 25 მარტისათვის შეასრულა პირველი კვარტალის გეგმა. ვატერის ნართის გამოშვების კვარტალური გეგმა შესრულებულია 102,8 პროცენტით, გრეხილი ნართისა — 102,2 პროცენტით, ხოლო წინდებისა — 100,1 პროცენტით.

**თბილისის კუიბიშევის სახელობის ხის დამმუშავებელი ქარხნის** კოლექტივმა, რომელიც ძირითადად სასკოლო ინვენტარისა და სამშენებლო დეტალების დამზადებაზე მუშაობს, 26 მარტისათვის 105 პროცენტით შეასრულა კვარტალური გეგმა.

## პოლონეთის მუშათა პარტიის ცენტრალური კომიტეტისა და პოლონეთის სოციალისტური პარტიის ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტის ერთობლივი დირექტივა

**ვარშავა**, 27 მარტი. (საკდესი). პოლონეთის მუშათა პარტიის ცენტრალურმა კომიტეტმა და პოლონეთის სოციალისტური პარტიის ცენტრალურმა აღმასრულებელმა კომიტეტმა ორივე პარტიის საერთოდ, სამაზრო და საქალაქო კომიტეტებს ყველა მდივანს გაუგზავნეს ერთობლივი დირექტივა, რომლითაც პარტიულმა ორგანიზაციებმა უნდა იხელმძღვანელონ პოლონეთის მუშათა პარტიისა და პოლონეთის სოციალისტური პარტიის...

## პრეზიდენტის არჩევნებისათვის ამერიკის შეერთებულ შტატებში

**ნიუ-იორკი**, 27 მარტი. (საკდესი). პრესის ცნობები მოწმობენ დემოკრატიული პარტიის ადგილობრივ ორგანიზაციებში ტრუმენის საწინააღმდეგო განწყობილების შემდგომ გაძლიერებას. ტრუმენის, როგორც პრეზიდენტობის შესაძლო კანდიდატის, მზარდი არაპოპულარობა იქამდე მიდის, რომ მის წინააღმდეგ გამოსვლას იწყებენ შეძარცვენე პროფკავშირული მოღვაწეებიც კი. გაზეთ „ნიუ-იორკ ტაიმსის" ცნობით, ნიუ-იორკის შტატის საწარმოო პროფკავშირთა კონგრესის განყოფილების თავმჯდომარე პოლონელი დემოკრატიული პარტიის ხელმძღვანელი...

## სარეწაო-სატყეო კავშირის პლენუმზე

საქართველოს სარეწაო-სატყეო კავშირი (თავმჯდომარე ამხ. ს. ჯებაშვილი) თვალსაჩინო მუშაობას ეწევა რესპუბლიკაში ფართო მოხმარების საგნებისა და საოჯახო ნივთების წარმოების დარგში. შარშან სახელმწიფო გეგმით ამ კავშირში შემავალ 41 საწარმოს უნდა დაემზადებინა 13 მილიონი მანეთის პროდუქცია, აქედან 8.939.000 მანეთის ფართო მოხმარების საგნები. ეს დავალება სარეწაო-სატყეო კავშირის სისტემის საწარმოებმა გადაჭარბებით შეასრულეს, დაამზადეს 16.296.400 მანეთის პროდუქცია, რაც გეგმის 125,4 პროცენტს შეადგენს. 4,8 პროცენტის გადაჭარბებით შესრულდა აგრეთვე ფართო მოხმარების საგნების წარმოების გეგმა.

მაგრამ ყველა საწარმოს როდი მიუძღვის ლვაწლი საერთო წარმატებაში. 41 საწარმოდან წლიური გეგმა მთლიანად და გადაჭარბებით შეასრულა მხოლოდ 33 საწარმომ; წლიური გეგმა შესრულებული არ არის ასორტიმენტის მიხედვით. წარმოებამ დანერგილი 34 სახის პროდუქციიდან...

## ჩეხოსლოვაკიის საკანონმდებლო ეროვნულ კრებაში

**პრაღა**, 27 მარტი. (საკდესი). 25 მარტს საკანონმდებლო ეროვნულმა კრებამ მიიღო კანონი სახალხო სასამართლოების მოქმედების განახლების შესახებ...

## გორკის დაბადების 80 წლისთავის დღესასწაული პრაღაში

**პრაღა**, 28 მარტი. (საკდესი). ჩეხოსლოვაკიის საზოგადოებრიობა აღნიშნავს ჩეხოსლოვაკიის ფართო მასებში ერთ-ერთი ყველაზე უფრო პოპულარული საბჭოთა მწერლის მაქსიმ გორკის დაბადების 80 წლისთავს...

## ამერიკა სამხედრო მასალას აწვდის თურქეთს

**ლონდონი**, 27 მარტი. (საკდესი). როგორც რეიტერის სააგენტოს კორესპონდენტი სტამბოლიდან გადმოგვცემს, გუშინ მარმარილოს ზღვაში გავიდა ამერიკის ორი გემი და მიიტანა ავტომანქანები და სამხედრო საჭურველი, რასაც თურქეთს აწვდიან ამერიკის „დახმარების" პროგრამის მიხედვით...

## ათენის ხელისუფლებმა დააპატიმრეს საბერძნეთ-საბჭოთა კავშირის საზოგადოების თანამშრომლები

**ათენი**, 28 მარტი. (საკდესი). საბერძნეთ-საბჭოთა კავშირის საზოგადოების ბიბლიოთეკარის ლიდომილა მენდისის დაპატიმრების შემდეგ 18 მარტს დააპატიმრეს საზოგადოების მეორე მოსამსახურე — ფროზოდასი, ხოლო 22 მარტს — საზოგადოების მდივანი სტასის ეფსტათიადისი...

## ახალი კინოფილმები

„გრუზკინოპრომის" საქართველოს კინოსტუდიამ ეკრანზე გამოუშვა ახალი კინოსურათები „ამბავი ციმბირის მიწისა" (მაკ.-თეთრი და ფერადი ვარიანტები) და ჩეხოსლოვაკური ფერადი ფილმი „ნაწ როგაში"...

## რუმინეთის დიდი ეროვნული კრების არჩევნები

**ბუქარესტი**, 27 მარტი. (საკდესი). ხვალ შესდგება რუმინეთის დიდი ეროვნული კრების არჩევნები.

ცენტრალური საარჩევნო კომისიის ცნობით, ხმის უფლებით სარგებლობს 8.416.060 ამომრჩეველი. შექმნილია 3.641 საარჩევნო უბანი...

**ბუქარესტი**, 28 მარტი. (საკდესი)...

## ბერძნების პროვოკაციები ალბანეთის საზღვარზე

**ტირანა**, 27 მარტი. (საკდესი). ალბანეთის დეპეშათა სააგენტო იუწყება, რომ 25 მარტს 8 საათსა და 30 წუთზე საბერძნეთის მეფის ჯარისკაცებმა ტყვიამფრქვევი დაუშინეს ალბანეთის სასაზღვრო საგუშაგოს № 50 სასაზღვრო ნიშნის რაიონში (ვერბიკარის სექტორი). იმავე დღეს 9 საათსა და 50 წუთზე ოთხმა ბერძენმა ჯარისკაცმა ალბანეთის საზღვარი გადალახა.

## ახალგაზრდობის საღამო

დღეს, 30 მარტს, ხელოვნების მუშაკთა სახლში გაიმართება ახალგაზრდობის საღამო...

დასაწყისი საღამოს 8 საათზე.

## ამინდი

28 მარტს დღისით და ღამით დასავლეთ საქართველოში ყველგან მთლიანი მოღრუბლულობა იყო...

29 მარტს თბილისში 12 საათზე იყო 12 გრადუსი სითბო.

## წინასაარჩევნო ტერორი იტალიაში

**რომი**, 27 მარტი. (საკდესი). როგორც გაზეთები იუწყებიან, რავენაში (ემილიის პროვინცია) პოლიციამ ცეცხლი გახსნა...

## ლიტერატურული დისპუტი

უმაღლესი სკოლისა და სამეცნიერო დაწესებულებების მუშაკთა პროფკავშირის რესპუბლიკური კომიტეტის სტუდენტთა შორის მუშაობის კომისია 31 მარტს, საღამოს 7 საათზე, სტალინის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის კლუბში აწყობს დისპუტს გ. ლობჟანიძის მოთხრობაზე „სამნი რუბ ფარაჯებში".

**სსრ კავშირის მთავრობასთან არსებული კოლმეურნეობების საქმეთა საბჭოს წარმომადგენელი საქართველოს სს რესპუბლიკაში იმყოფება საქართველოს სსრ მთავრობის შენობაში ქ. თბილისში.**

საქართველოს პოლიტიკური და მეცნიერული ცოდნის გამავრცელებელი საზოგადოება სამშაბათს, 30 მარტს, მასწავლებლის სახლის დარბაზში (ფურცელაძის ქუჩა № 3) აწყობს საზოგადოების ნამდვილი წევრის პროფესორ **ვ. ასათიანის** ლექციას თემაზე **„ვიტამინები და მათი მნიშვნელობა"** (რუსულ ენაზე).

ლექციას თან ახლავს ფოტოსურათების დემონსტრაცია.

ლექციის დასაწყისი საღამოს 8 საათზე.

ბილეთები წინასწარ გაიყიდება მასწავლებლის სახლის სალაროში საღამოს 5-დან 9 საათამდე, „აკადემიური წიგნის" მაღაზიაში (რუსთაველის პროსპექტი № 19) დილის 9 საათიდან საღამოს 5 საათამდე. კოლექტიური განცხადებები მიიღება ტელეფონით — 3-05-34.

**პასუხისმგებელი რედაქტორი ბ. ნანიტაშვილი**

## უცხოეთის ქრონიკა

პრაღის პრესა იუწყება, რომ ჩეხოსლოვაკიის ხელისუფლებამ არგენტინის მთავრობას მოსთხოვეს არგენტინაში მყოფი ცნობილი ჩეხოსლოვაკიელი სამხედრო დამნაშავის ფერდინანდ დურჩანსკის გადაცემა.

* * *

გაერთიანებული ერების ორგანიზაციის გენერალურმა მდივანმა ტრიუგვე ლიმ მიიღო ახალი ცნობა ალბანეთის საგარეო საქმეთა მინისტრ კაცასგან. ცნობაში ნათქვამია, რომ 12-დან 15 მარტამდე საბერძნეთმა თორმეტჯერ დაარღვია ალბანეთის სუვერენიტეტი.

* * *

სოფიაში დაიხურა საბჭოთა მხატვრების ალექსანდრე გერასიმოვის, სერგი გერასიმოვის, ალექსანდრე დეინეკას და არკადი პლასტოვის სურათების გამოფენა. 2 თვის განმავლობაში გამოფენა ინახულა 250 ათასმა კაცმა. სოფიის ყველა გაზეთმა და ჟურნალმა გამოფენა შეაფასა, როგორც დიდი კულტურული მოვლენა დედაქალაქის ცხოვრებაში, რასაც უდიდესი მნიშვნელობა აქვს ბულგარული სახვითი ხელოვნების შემდგომი განვითარებისათვის.

## პეტრუ გროზას წინასაარჩევნო გამოსვლა

**ბუქარესტი**, 27 მარტი. (საკდესი). დღეს, დიდი ეროვნული კრების არჩევნების წინ, ხალხს რადიოთი მიმართა რუმინეთის სახალხო რესპუბლიკის პრემიერ-მინისტრმა დოქტორმა პეტრუ გროზამ. პეტრუ გროზამ აღნიშნა ქვეყნის დემოკრატიზაციისა და მისი ეკონომიური აღდგენის წარმატებანი და ხაზი გაუსვა, რომ სწორედ ეს მიღწევებია იმის საწინდარი, რომ რუმინელი ხალხი წავა წინ თავისი სამშობლოს აყვავების გზით. „რუმინელმა ხალხმა თავისთვის მშვიდობის გზა აირჩია და გარეშე და შინაური მტრების ვერავითარი ცდები მას ვერ გადაახვევინებენ ამ გზიდან. ამ გზას განამტკიცებს დიდი ეროვნული კრება და კონსტიტუცია, რომელსაც ეს კრება მიიღებს".

## მთავარ იაპონელ სამხედრო დამნაშავეთა პროცესზე

**ტოკიო**, 24 მარტი. (საკდესი). საერთაშორისო სამხედრო ტრიბუნალი განაგრძობს ბრალდებულთა შესახებ დამცველთა ინდივიდუალური საბოლოო სიტყვების მოსმენას. მოსმენილ იქნა სიტყვები ხატას, ღოიხარას, ხირანუმას, ხიროტას, მინამისა და ხასიმოტოს საქმეებზე...

## გერმანელ გამთიშველთა საიდუმლო მოლაპარაკება მიუნხენში

**ბერლინი**, 25 მარტი. (საკდესი). როგორც აღნის სააგენტო იუწყება, მიუნხენში სწარმოებს მოლაპარაკება, რომლის მიზანია სამხრეთ-დასავლეთის დაპროექტებული სახელმწიფოს, ეგრეთწოდებული „დუნაის ფედერაციის" საფუძველთა შემუშავება...

## ქრონიკა

სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმმა ამხ. გიორგი მაქსიმეს-ძე ბუშკინი დანიშნა სსრ კავშირის საგანგებო და სრულუფლებიან ელჩად უნგრეთში.

## კესხოველის სახელობის საქალაქო პარტკაბინეტში

**30 მარტს, საღამოს 8 საათზე,** შესდგება ამხ. ჩაგუნავას და ამხ. კალინინას კონსულტაცია ვ. ი. ლენინისა და ი. ბ. სტალინის ბიოგრაფიების საკითხებზე.

**31 მარტს, დილის 9 საათზე,** შესდგება პირველადი პარტიული ორგანიზაციების მდივნების სემინარი თემაზე: **„ამხანაგ სტალინის თხზულებათა მეშვიდე ტომი".**

ლექტორი ამხ. **ბიბიშიძე.**

## ლექცია

**30 მარტს, საღამოს 8 საათზე,** საქართველოს კ. პ. (ბ) თბილისის ორგანიზაციის ორჯონიკიძის რაიკომის პარტკაბინეტში შესდგება პროფესორ ათაბეგოვის ლექცია რუსულ ენაზე. თემა: **„სსრ კავშირის საერთაშორისო მდგომარეობა".**

ბილეთები იყიდება რაიკომის პარტკაბინეტში.

## თეატრებში

**30 მარტს:** ოპერისა და ბალეტის — „კარმენ"; რუსთაველის სახელობის — „ოტელო", **მარჯანიშვილის სახელობის** — „ცეცხლის მასწავლებელი", **გრიბოედოვის სახელობის** — „ჰაბუკობასთან შეხვედრა"; **მოზარდ მაყურებელთა ქართული** — „ალუბლები ჰყვავიან" (გრიბოედოვის ქ. № 8).

## კინოებში

**30 მარტს:** „რუსთაველი" — „ამბავი ციმბირის მიწისა"; **„ოქტომბერი"** — „ნაწ როგაში"; **„ამირანი"**, **„სპარტაკი"** — „ბიჭი გარეუბნიდან"; **„კომკავშირელი"** — „არშინ მალ-ალან"; **26 კომისრის სახელობის** — „ნაწ როგაში" (1 დარბაზი).

**ა. წ. 7 აპრილს, საღამოს 7 საათზე მასწავლებლის სახლში** (ფურცელაძის ქ. № 3) **ჩატარდება საქართველოს სსრ შემნახველ სალაროებში შეტანილი მომგებიანი ანაბრების მე-11 ტირაჟი.**

ტირაჟში მონაწილეობას მიიღებენ მეანაბრეთა ყველა ის ანგარიშები, რომლებზედაც 1948 წლის 1 აპრილისათვის ირიცხება მომგებიანი ანაბრების ნაშთი.

ტირაჟზე დასწრება — მოსაწვევი ბარათებით.

**საქართველოს სსრ სახელმწიფო შრომის შემნახველი სალაროებისა და სახკრედიტის სამმართველო.**

საქართველოს მონადირეთა კავშირის — „მონკავშირის" გამგეობა **მონადირეთა საყურადღებოდ აცხადებს,** რომ საქართველოს სსრ ტერიტორიაზე **საგაზაფხულო ნადირობის ვადა გაგრძელებულია** მხოლოდ **ტყის ქათამზე** — 15 აპრილამდე და **ჭოვილოზე** (დუპელი) — 31 მაისამდე.

**მთელი წლის განმავლობაში ნებადართულია** მტაცებელი ნადირის (მგელი, ტურა, გარეული კატა, ფოცხვერი, იფთარი) **დახოცვა.**

დანარჩენ გარეულ ნადირსა და ფრინველზე **ნადირობა აკრძალულია** 1 აპრილიდან 1 აგვისტომდე.

**საქართველოს მონადირეთა კავშირის გამგეობა**

**საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის კლინიკური და ექსპერიმენტული კარდიოლოგიის ინსტიტუტი აცხადებს კონკურსს შემდეგ** ვაკანტურ თანამდებობებზე:

I. კლინიკური განყოფილების გამგე, მეცნიერებათა დოქტორი — 1, ბიოქიმიური განყოფილების გამგე, მეცნიერებათა დოქტორი — 1, ექსპერიმენტული განყოფილების გამგე, მეცნიერებათა დოქტორი — 1, მიკრობიოლოგიური ლაბორატორიის გამგე, იგივე უფროსი მეცნიერი თანამშრომელი — 1.

II. უფროსი მეცნიერი თანამშრომელი — მეცნიერებათა დოქტორი (ან მეცნიერებათა კანდიდატი სულ მცირე 5 წლის მეცნიერული მუშაობის სტაჟის მქონე, მეცნიერული ნაშრომით შესაბამის რაოდენობით) ექსპერიმენტულ განყოფილებაში — 1, ბიოქიმიურ განყოფილებაში — 1, კლინიკურ განყოფილებაში — 4.

მსურველებმა უნდა შემოიტანონ განცხადება დირექტორის სახელზე და სამ ცალად შემდეგი საბუთები: ავტობიოგრაფია, პარტიული და საქმიანი დახასიათება, კადრების აღრიცხვის ფურცელი, მეცნიერულ ნაშრომთა სია, ასლები: დიპლომის, მეცნიერული ხარისხის და წოდების მინიჭების შესახებ.

მისამართი: პლეხანოვის პროსპექტი № 60, ტელეფონი № 3-90-65.

კონკურსის ვადა 20 აპრილი.

აბასთუმნის ასტროფიზიკური ობსერვატორიის თანამშრომლები იუწყებიან **ფილიმონ ტორონჯაძის** გარდაცვალებას.

შვილი გიორგი დანელია ოჯახით იუწყება **დიმიტრი დანელიას** გარდაცვალებას. დაკრძალვა 1-IV სოფ. ლეხაინდრაოში.

მეუღლე ნატაშა, შვილი, იპოლიტე, ოლია, სტანისლავ იუწყებიან **რაჟდენ ერისტოს-ძე ფიოლიას** გარდაცვალებას. დაკრძალვა 4-IV სოფ. მათხოჯში.

მეუღლე ეკატერინე, შვილები გიორგი, ნინო, ნელი, ძმები მალაქია, ილია და რომან ოჯახებით იუწყებიან **ვასილ სპირიდონის-ძე საგანელიძის** გარდაცვალებას. გამოსვენება 30-III, 6 ს. შრომის, 1.

საქართველოს სსრ განათლების სამინისტროს თანამშრომლები იუწყებიან **ეკატერინე ივლიანეს ასულ ხარიშვილის** გარდაცვალებას.

მეუღლე ნინო, შვილები შურა, მერი ოჯახებით იუწყებიან **ალექსი მერაბის-ძე პანტურიას** გარდაცვალებას. პანაშვიდი 30-III, 7 ს. გამოსვენება 31-III, 4½ ს. კალინინის, 24.

ვაკეთა მე-20 საშუალო სკოლის ადმინისტრაცია და პედკოლექტივი იუწყება თეო გიტოს ასულ კალანდაძის გარდაცვალებას.

მეუღლე ვერა, შვილები გიორგი, ალექსანდრე, მამა ოჯახებით იუწყებიან **როსტომ თოხაძის-ძე იაშვილის** გარდაცვალებას. დაკრძალვა 1-IV სოფ. არგვეთში (საჩხერის რ.).

ვლადიმერ და ევგენი გოგოძეები ოჯახებით იუწყებიან პროფესორ **ვლადიმერ ლუკას-ძე ავალიანის** გარდაცვალებას.

რედაქციის მისამართი: თბილისი, ლენინის ქ. № 28. ტელეფონები: პასუხისმგებელი მდივნის — 3-08-67, სამდივნოსი — 3-06-88, განყოფილებები: პროპაგანდის — 3-82-05, პარტიული ცხოვრებისა და საბჭოთა მშენებლობის — 3-81-84, სასოფლო-სამეურნეო და სამრეწველო-სატრანსპორტო — 3-80-83, კულტურის, ყოფაცხოვრებისა და ინფორმაციის — 3-80-84, ადგილობრივ კორესპონდენტთა ქსელის და მშრომელთა წერილების — 3-73-24, მორიგეობა გამომშვების — 3-81-65, გამომცემლობის — 3-51-81, სტამბის დირექტორის — 3-77-70.

ლ. პ. ბერიას სახელობის პოლიგრაფიული კომბინატი „კომუნისტი", თბილისი, ლენინის ქ. № 28. ტირაჟი 110,000 უე 00883